# ხელშეკრულება

No. WAA0002267 (2020)

გაფორმდა

შპს DOPPELMAYR Seilbahnen ავსტრია A-6961 ვოლფურტი

ავსტრია

და

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის

სადგურის მოედანი N2, 0112 თბილისი, საქართველო

ს/კ 202886788

თარიღი: 2020 წლის 22 დეკემბერი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
**შპს DOPPELMAYR Seilbahnen**

**A-6961 ვოლფურტი**

**ავსტრია**

შემდეგში წოდებული, როგორც „გამყიდველი"

წარმოდგენილი FSU market-ის მენეჯერის ვალერი იაშინის სახით

და

**შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"**

**სადგურის მოედანი N2, 0112 თბილისი, საქართველო**

**ს/კ 202886788**

შემდეგში წოდებული, როგორც „მყიდველი"

წარდგენილი გიორგი შარკოვის სახით

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

/ახლავს მყიდველის ხელმოწერა და ბეჭედი/

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

**პრეამბულა**

2012 წლის 5 ივნისს, "მყიდველმა", რომელიც იმ დროს წარმოდგენილი იყო თბილისის მერიის სახით და "გამყიდველმა", ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (დანართი 1) DETACHBLE MONOCABLE GONDOLA TYPE 8-MGD-ის მოწყობილობების მიწოდების, პროექტის ინჟინერიის, მონტაჟისა და ტექნიკური დახმარების, აგრეთვე ექსპლუატაციაში მიღების შესახებ (დატვირთვის ტესტი) მთაწმინდის პარკი თბილისი, საქართველოში. 7 სექტემბერს "მყიდველმა" გადაწყვიტა ხელი მოეწერა ხელშეკრულების No.1 დამატებას (დანართი 2) WAA0002267-ის მონტაჟისათვის, სასტუმრო რედისონი, თბილისი, მთაწმინდის პარკი, დამატებითი აღჭურვილობის / მახასიათებლების მისამატებლად.

განხორციელების პროცესში, ორივე მხარისათვის ცხადი გახდა, რომ პროექტის შესრულებას აბრკოლებდა ქვედა სადგურის მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები (თბილისის სასტუმრო რედისონის მიმდებარე ტერიტორია), ამიტომაც პროექტის განხორციელება შეჩერდა. ამ შეზღუდვის შედეგად, "გამყიდველმა" იზრუნა წარმოებულ მოწყობილობებზე - შეინახა იგი (ავსტრიასა და შვეიცარიაში) ინდუსტრიის მიერ მიღებული სტანდარტების შესაბამისად და ელოდებოდა "მყიდველისგან" შემდგომ ინსტრუქციებს.

2016 წლის 16 დეკემბერს, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ თბილისის მერიისგან გადაიბარა ეს პროექტი და გახდა "მყიდველი", რითაც იმ დროს მიიღო "მყიდველის" ყველა პასუხისმგებლობა. იმავე დღეს მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას N0300/10/345 (დანართი 3), რომელიც ეხებოდა მთაწმინდის საბაგიროს (8MGD) გადაკეთებას. გადაწყდა მთაწმინდის საბაგიროს ქვედა სადგურის გადატანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უკანა ეზოში, რუსთაველის გამზირზე, თბილისი, საქართველო. „მყიდველის „ მკაფიო მოთხოვნა იყო ახალი ხაზის შემუშავება, თბილისის სასტუმრო რედისონის, მთაწმინდის პარკის ძველი ხაზის კომპონენტების გამოყენებით, კაპიტალის ხარჯების შემცირების მიზნით. "გამყიდველმა" შეასრულა ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და შედეგად შეიმუშავა მთაწმინდის საბაგიროს ახალი დიზაინი. სამუშაოების მიღება-ჩაბარების შესაბამის აქტს ხელი მოაწერა ორივე მხარემ.

2020 წლის 16 ივლისს, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ ოფიციალურად სთხოვა შპს Doppelmayr Seilbahnen-ს მოემზადებინა შეთავაზება არსებული (ინახება ავსტრიასა და შვეიცარიაში WAA0002267) მონტაჟის მოდერნიზაციაზე ახალ ხაზზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის - მთაწმინდის პარკში.

/ახლავს მყიდველის ხელმოწერა და ბეჭედი/

გარდა ამისა, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ სთხოვა შპს Doppelmayr Seilbahnen-ს შეეთავაზებინა შემდეგი მომსახურებები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული 2012 წლის 5 ივნისის ხელშეკრულებაში, კერძოდ: 1) მონტაჟის მექანიზაცია, მექანიზაციის სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ყველა მექანიზმი/ ამწე 2) პერსონალის განთავსება და კვება მთელი პროექტის განხორციელების დროს 3) პერსონალის ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე 4) შემომავალი სატვირთო მანქანების გადმოტვირთვა, დატვირთვა ადგილზე მიწოდებისათვის, საწყობი, დაცვა. შესაბამისი წინადადება გადაეგზავნა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორს 2020 წლის 24 ივნისს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს No13 ბრძანების მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 9 ოქტომბრის No4068 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბრის No2251 განკარგულების საფუძველზე.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის SMP200004075 განცხადება გამარტივებული შესყიდვის დამტკიცების შესახებ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძველზე.

შესყიდვის ობიექტის საკლასიფიკაციო კოდი: 45200000; 45220000.

## მუხლის 1 ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია WAA0002267 DETACHBLE MONOCABLE GONDOLA TYPE 8MGD მთაწმინდის პარკის სრული ტესტირება / შემოწმება, 8 წლის განმავლობაში "გამყიდველის" სადგომზე შენახვის შემდეგ, საბაგირო გზის სამგზავრო ვაგონის შემოწმებაზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადება, არსებული მონტაჟის მოდერნიზაცია და მისი ამჟამინდელი პროფილის / დიზაინის ადაპტირება (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია-მთაწმინდის პარკი), მონტაჟის შენახვის საფასური (8 წელი), მონტაჟის მექანიზაცია, პერსონალის განთავსება და კვება, პერსონალის ტრანსპორტირება ადგილზე, სასაწყობო მომსახურება (საწყობის ქირაობა, გადმოტვირთვა, დატვირთვა, დაცვა),

/ახლავს მყიდველის ხელმოწერა და ბეჭედი/

TUV–ის მიერ მონტაჟის პირველადი შემოწმების დასკვნა, აგრეთვე უფლებამოსილი / ლიცენზირებული ქართული კომპანიის მიერ გაცემული მთაწმინდის საბაგირო გზის სამგზავრო ვაგონის შემოწმების სერტიფიკატი.

პარალელურად, "გამყიდველს" სურს და მოუწოდებს "მყიდველს" ხელი შეუწყოს მესამე მხარის სამშენებლო კომპანიასთან კომუნიკაციასა და კოორდინაციას ამ პროექტთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების სწორად შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამუშაოების დეტალური მოცულობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ 4-ში.

მოწყობილობები და მომსახურებები უნდა შეესაბამებოდეს ზოგად სპეციფიკაციებსა და სამუშაო პარამეტრებს, რომლებიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში.

## მუხლი 2 გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, მიწოდებები და მომსახურებები

2.1 გამყიდველი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მყიდველს:

(ა) დიაგნოსტიკური შემოწმება, WAA0002267 მოწყობილობის შესაბამისი ანგარიშის შედეგად 6 წლის განმავლობაში შენახვის შემდეგ, მათ შორის, სათანადო ბიუჯეტით მონტაჟის განახლებისთვის საჭირო მოქმედებები არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივნისისა. როგორც კი ბიუჯეტი დამტკიცდება ორივე მხარის მიერ და ხელი მოეწერება შესაბამის შესწორებას მიმდინარე ხელშეკრულებაში, "გამყიდველი" იღებს პასუხისმგებლობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მთაწმინდის პარკის ახალ ხაზზე დაფუძნებული მოდერნიზაციის პროცესის დაწყებაზე.

(ბ) 8 წლის (2012-2020) ვადით გამყიდველის სადგომზე მონტაჟის შენახვის მომსახურებები.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

3.3 მყიდველმა უნდა გადაიხადოს ყველა ბაჟი, ხარჯი, გადასახადი, დღგ-ს ჩათვლით და ნებისმიერი სხვა იმპორტის გადასახადი, ბაჟი და სხვა ხარჯები, რომლებიც შეიძლება დააკისროს საქართველოს მთავრობამ ან ადგილობრივმა თემმა და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

3.4 მყიდველმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და გადაიხადოს ყველა საბანკო გადასახადი, რომელიც წარმოიშობა საქართველოში.

3.5 მყიდველმა უნდა გადაიხადოს ყველა ადგილობრივი მომარაგების გადასახადები, გამყიდველის სამუშაოების მოცულობაში მითითებული გადასახადების გარდა, რომელიც არ შედის გამყიდველის მიერ გაწეულ ვალდებულებებში, მიწოდებასა და მომსახურებებში.

3.6 მყიდველი თანახმაა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება და მომსახურება, რომელზეც პასუხისმგებელია მყიდველი დანართ 6 და დანართ 8-ში განსაზღვრული დროის, ხარისხისა და მუშაობის სტანდარტების შესაბამისად, რომელიც აღწერილია სპეციფიკაციებისა და სამუშაო დოკუმენტაციაში.

## მუხლი 4 ფასი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1, 2, 4 და 6 მუხლების შესაბამისად, გამყიდველის მიერ მოწოდებული აღჭურვილობის, ოფშორული სამუშაოებისა და მომსახურებების, სახმელეთო სამუშაოებისა და მომსახურებების საერთო ღირებულებაა:

ოფშორული ნაწილი: აღჭურვილობები, ოფშორული სამუშაოები და მომსახურებები

1.449.400,00 ევრო

(მილიონ ოთხას ორმოცდაცხრა ათას ოთხასი ევრო)

საქართველოს გადასახადების გარეშე

სახმელეთო ნაწილი: სამუშაოები

356.800,85 ევრო

(სამას ორმოცდათექვსმეტი ათას რვაასი ევრო და ოთხმოცდახუთი ცენტი)

დღგ (18%) ხმელეთის ნაწილზე

/ახლავს მყიდველის ხელმოწერა და ბეჭედი/

64.224,15 ევრო

(სამოცდაოთხი ათას ორას ოცდაოთხი ევრო და თხუთმეტი ცენტი)

მთლიანი ფასი დღგ-ს ჩათვლით (18%) ხმელეთის ნაწილზე

421.025,00 ევრო

(ოთხას ოცდაერთი ათას ოცდახუთი ევრო)

ეს ფასი წარმოადგენს დანართ 4-ში მითითებული დეტალური მიწოდებისა და მომსახურების ჯამურ თანხას, შეფუთვისა და გადაზიდვის ღირებულების ჩათვლით.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

4.2 მოწყობილობისა და სამუშაოების ფასი არის DAP თბილისი, საქართველოში მისაწოდებლად. (INCOTERMS 2010).

4.3 მოწყობილობისა და სამუშაოების შესახებ ნებისმიერი მოდიფიკაცია ან ცვლილება, რომელიც განხორციელდა მყიდველის თხოვნით და მიღებულია გამყიდველის მიერ, წერილობით უნდა შეთანხმდეს.

**მუხლი 5 გადახდის პირობები**

5.1. ოფშორული ნაწილის (მოწყობილობები და ოფშორული სამუშაოები) და სახმელეთო ნაწილის (სამუშაოები) საერთო ფასი სახმელეთო ნაწილისთვის დღგ-ს 18% -ის ჩათვლით

**1.870.425,00 ევრო**

**(მილიონ რვაას სამოცდაათი ათასი და ოთხას ოცდახუთი ევრო)**

უნდა მოხდეს შემდეგნაირად გადახდა:

**80 %** წინასწარი გადახდა, რომელიც შეადგენს 1.496.340 ევროს (მილიონ ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას სამას ორმოცი ევრო) უნდა მოხდეს არაუგვიანეს 30 იანვრისა საბანკო გადარიცხვით საბანკო გარანტიებით, რომელსაც წარმოადგენს "გამყიდველი" "მყიდველის" სასარგებლოდ.

გარანტია 1: **წინასწარი გადახდის გარანტია** უნდა იყოს 1.496.340 ევროს ოდენობის. "გამყიდველის" მიერ წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა შეთანხმებულია 16 თვეზე. გარანტიის ტიპი: უპირობო და გამოუხმობი, დადასტურებული საქართველოს ბანკის მიერ.

1.1 იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ვერ ასრულებს მე-6 დანართის შესაბამისად შესრულებულ ყველა მოქმედებას, სამუშაოების წინასწარი გარანტიის გრაფიკი შესაბამისად უნდა გაგრძელდეს და საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გამყიდველს დაეკისრება.

1.2 იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ვერ ასრულებს ყველა მოქმედებას, მათ შორის მესამე მხარის მიერ შესასრულებელ მოქმედებებს და / ან არ არის დამოკიდებული გამყიდველზე და პირდაპირ ახდენს გავლენას მე –6 დანართზე: სამუშაოების წინასწარი განრიგი. გადახდის გარანტია უნდა გაგრძელდეს შესაბამისად და ბანკის გარანტიის პერიოდის გაგრძელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი დაეკისრება მყიდველს.

2) გარანტია 2: შესრულების გარანტია, რომელიც შეადგენს 93.521,25 ევროს (სახელშეკრულებო ფასის 5%). გარანტიის მოქმედების ვადა 2022 წლის 30 ნოემბრამდე. გარანტიის ტიპი: უპირობო და გამოუხმობი, დადასტურებული საქართველოს ბანკის მიერ.

20%, რომელიც შეადგენს 374.085 ევროს (სამას სამოცდათოთხმეტი ათას ოთხმოცდახუთი ევრო) გადახდა უნდა მოხდეს ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების ოქმზე ხელმოწერისთანავე და არა უგვიანეს 2022 წლის 31 ოქტომბრისა.

შენიშვნა: გამყიდველი და მყიდველი თანხმდებიან, რომ ორივე გარანტიის ტექსტს მხარეები შეათანხმებენ არაუგვიანეს 2021 წლის 30 იანვრისა.

გადახდები უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

UniCredit

Bank Austria AG

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

**მუხლი 8 გარანტიები და უზრუნველყოფა**

8.1 საქონლის მომწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ მოწყობილობა იქნება დამზადებული უმაღლესი ხარისხის მასალებისგან, შესრულებული იქნება უმაღლესი კლასის პროფესიონალიზმით, იქნება ახალი და აქამდე გამოუყენებელი, ხოლო დაყენების დროს, იგი იქნება ყველა თვალსაზრისით შესაბამისი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხის სტანდარტებთან და სპეციფიკაციებთან, მათთან დაკავშირებულ დანართებთან, ევროკავშირის საზაგირო გზების რეგულაციებთან და შესაბამის CEN– ის ნორმებთან იმ დონით რა დონითაც იქნება აღნიშნული ნორმები გამოყენებული მოცემულ პროექტში და აგრეთვე შესაძლებელი იქნება მისი უწყვეტი ოპერირება მაქსიმალური სიჩქარითა და სიმძლავრით.

8.2 გარანტია აღჭურვილობაზე, გარდა მამჭიდროებლებისა და ცვეთადი ნაწილებისა შეადგენს 3000 (სამი ათასი) საათს ან 2 (ორი) წელს ექსპლუატაციაში მიღების დღიდან, ან არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა. მოცემული გარანტია მოიცავს ისეთი ნაწილების სუფთა და მარტივ გამოცვლას, რომლებიც აღიარებულია როგორც წუნდებული ან მათი განახლება საამქროში რეკომენდირებულია ან მიღებულია საქონლის მომწოდებლის მიერ უმოკლეს დროში.

ნაწილების გამოცვლა ან მათი განახლება გარანტიით არ იწვევს საგარანტიო ვადის გაგრძელებას, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც აღიარებულია როგორც წუნდებული და რომელთა გარანტიის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის პირობებს, რომელიც იწყება არა უგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.

გამოცვლილი ნაწილების მიწოდება და მონტაჟი უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ გონივრული პერიოდის განმავლობაში.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

8.3 გარანტიის პერიოდში ყველა შეცვლილი წუნდებული საქონელი ან ნაწილები უნდა განთავსდეს საქონლის მომწოდებლის განკარგულებაში.

8.4 ელექტრომოწყობილობის უპრობლემოდ ფუნქციონირება გარანტირებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის მიწოდება და ძაბვის რყევები არ ჩამოდის ან არ აჭარბებს ჩვეულებრივ ინდუსტრიულ ტოლერანტობას -10% / + 15% ოდენობით ნებისმიერ საოპერაციო პირობებში. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხს აგებს ჰარმონიული ფილტრების მოწოდებასა და მონტაჟზე.

8.5 გარანტია კარგავს ძალას და საქონლის მომწოდებელი თავისუფლდება ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან თუ:

(ა) ნაწილები მყიდველმა შეცვალა სხვა წარმოშობის დაუდასტურებელი ნაწილებით;

(ბ) ლიფტი გარდაიქმნა ან შეიცვალა ნებისმიერი ფორმით საქონლის მომწოდებელთან თანხმობის გარეშე;

გ) თუ დაზიანება გამოწვეულია დაუდევრობის, არასწორი გამოყენების, არასწორი მოვლის, არასათანადო მოხმარების ან თუნდაც წამიერი გადატვირთვის გამო;

საქონლის მომწოდებელი

მყიდველი

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

დ) თუ საოპერაციო და შემოწმების ჟურნალები არ არის განახლებული;

ე) თუ ინციდენტები გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით, მათ შორის მაგრამ არ შემოიფარგლება ზვავი, მეწყერი ან მიწის ჩაწოლა, თოვლის ან ყინულის გადაჭარბებული დაგროვება, მიწისძვრები ან ტორნადოები.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

8.6 საქონლის მომწოდებლის პასუხისმგებლობა მკაფიოდ შემოიფარგლება ზემოთ განსაზღვრული გარანტიით. აღჭურვილობის ექსპლუატაციაში მიღებისთანავე, შემსყიდველი პირადად არი პასუხისმგებელი უბედური შემთხვევის შემთხვევაში და აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი დაზღვევის მოპოვებაზე.

**მუხლი 9 მხარეთა პასუხისმგებლობა**

9.1 თუ შეთანხმებული მიწოდების ვადა გადაცილებულია საქონლის მომწოდებლის მიერ, მყიდველს უფლება აქვს, როგორც ერთჯერადი თანხის კომპენსაცია, დააკისროს ჯარიმა კვირაში 0.2% (ნული წერტილი ორი პროცენტი), მაგრამ საერთო ჯამში, კონტრაქტის ღირებულების არაუმეტეს 5%-ისა (ხუთი პროცენტი). გამოირიცხება ზიანის ანაზღაურება, რომელიც აღემატება მოცემულ თანხას.

9.2 შემსყიდველის მიერ სახელშეკრულებო შესრულების შეფერხება იწვევს თარიღის გადადებას, რომლის შემდეგაც გამოიყენება ჯარიმა შესამაბისი პერიოდისთვის და აგრეთვე დგება გონივრული ვადა რეორგანიზაციისთვის რომელიც დამოკიდებულია საქონლის მომწოდებლის ხელმისაწვდომობასა და რესურსებზე.

**მუხლი 10 საკუთრების უფლებები**

აპარატურა რჩება საქონლის მომწოდებლის საკუთრებაში, მანამ სანამ იგი არ გადაეცემა მყიდველს და არ მოხდება მიღების/გადაცემის ოქმისთვის ხელის მოწერა (დანართი 7) და არ მოხდება საქონლის მომწოდებლის ინვოისების სრულ ანგარიშსწორება, ბოლო გადასახადის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების მე -5 მუხლის შესაბამისად.

დაგირავება ან დამცავი ტრანსპორტირება დაუშვებელია მთლიან გადახდამდე.

მონტაჟთან დაკავშირებული სრული რისკი და ვალდებულებები გადაეცემა მყიდველს მას შემდეგ რაც იგი მოაწერს ხელს მონტაჟის გადაცემის/მიღების ოქმს (დანართი 7-ის შესაბამისად) ან იმ შემთხვევაში თუ ხდება დამონტაჟებული მოწყობილობის გამოყენება საზოგადოებრივი ოპერაციისთვის.

**მუხლი 11 ფორსმაჟორი, გათავისუფლება**

11.1 ფორსმაჟორულად იგულისხმება ნებისმიერი ქმედება ან მოვლენა, რომელიც ან არაპროგნოზირებადია, ან, თუ ეს პროგნოზირებადია, არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას.

საქონლის მომწოდებელი

მყიდველი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

11.2 გათავისუფლების საფუძვლად ჩაითვლება შემდეგი პირობები, მიუხედავად იმისა თუ ისინი ჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების ფორმირების შემდეგ და ხელს უშლიან მის შესრულებას:

სამრეწველო დავები და ყველა სხვა გარემოება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების არ ექვემდებარება მხარეების კონტროლს, მაგ. ხანძარი, მობილიზაცია, რეკვიზიცია, ემბარგო, სავალუტო შეზღუდვები, აჯანყება, მასალების ზოგადი დეფიციტი და ენერგიის გამოყენების შეზღუდვები.

11.3 მხარე, რომელიც წამოწევს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს წერილობით მათი წარმოქმნის და აგრეთვე მათი შეწყვეტის შესახებ, ფორსმაჟორული სიტუაციის შეწყვეტის დღიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები უნდა შეთანხმდნენ განსახორციელებელი ზომების შესახებ რომლებიც მისაღები იქნება ზემოაღნიშნული გარემოებებით შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორი გაგრძელდება 3 (სამი) თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები იკრიბებიან და განიხილავენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ თარიღს.

**მუხლი 12 შესაბამისობა**

ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება კორპორატიული ღირებულებებით, ქცევის კოდექსით, სახელმძღვანელო პრინციპებით და კანონებით, რომლებიც შეჯამებულია Doppelmayr Garaventa Group- ის ქცევის კოდექსში. ქცევის კოდექსის ამჟამინდელი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: http://www.doppelmayr.com. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ იცნობენ ქცევის კოდექსს და თანხმდებიან შეასრულონ მასში მოცემული დებულებები.

**მუხლი 13 მარეგულირებელი კანონი, იურისდიქციის ადგილი, რეგულაციის ენა, შენიშვნები**

**13.1** მხარეები ეცდებიან მეგობრული გზით გადაჭრან ნებისმიერი დავა, მათ შორის და მხოლოდ არ შემოიფარგლება თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის მიერ ჩატარებული შუამავლობის მოწყობით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ყველა მანამდე დადებული შეთანხმება და ხელშეკრულება ხდება ბათილი და ძალა დაკარგული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მესამე მხარეს მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება, დანართი და დამატება ითვლება ვალიდურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი ფორმით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

ხელშეკრულება ფორმდება ინგლისურ ენაზე 3 ორიგინალ ეგზემპლარად (ორი მყიდველისთვის და ერთი საქონლის მომწოდებლისთვის).

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და თუ არ მოხდება მისი ვადამდე შეწყვეტა პირობების შესაბამისად, რჩება ძალაში სანამ არ დასრულდება მომსახურება და არ მოხდება ყველა გადასახადის დაფარვა, რომლის შესრულების შემდეგაც მხარეები ორმხრივად თავისუფლდებიან ქვემოთ მოცემული ყველა ვალდებულებისაგან.

საქონლის მომწოდებელი

მყიდველი

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე.

**მუხლი 15 წინამდებარე ხელშეკრულების ინტეგრირებული ნაწილები**

დანართი 1 Doppelmayr Seilbahnen GmbH- სა და თბილისის მერიას შორის 2012 წლის 5 ივნისს დადებული ხელშეკრულება

დანართი 2 დანართი № 1 დათარიღებული 2012 წლის 7 სექტემბრით

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
დანართი 3 Doppelmayr Seilbahnen GmbH- სა და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის 2016 წლის 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება

დანართი 4 ხელშეკრულება № WAA0002267 (202)-ის სამუშაოების მოცულობა

დანართი 5 განახლებული საბაგირო გზის ტრანსპორტის ტექნიკური მახასიათებლები საქართველოს მეცნიერებათა აკადემია - მთაწმინდის პარკი

დანართი 6 სამუშაოების გრაფიკი

დანართი 7 გადაცემის / მიღების ოქმი

საქონლის მომწოდებელი

მყიდველი

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

დანართი 8 მყიდველის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

ხელმოწერილია მხარეთა სახელით:

| | |
|---|---|
| ვალერი იაშინ | გიორგი შარკოვი |
| FSU დეპარტამენტის უფროსი | დირექტორი |
| Doppelmayr Seilbahnen GmbH | შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ............................................... | ............................................... |
| (კომპანიის ბეჭედი) | (კომპანიის ბეჭედი) |

საქონლის მომწოდებელი

მყიდველი

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

# ხელშეკრულება

No. WAA0002267

გაფორმებული

DOPPELMAYR Seilbahnen GmbH-სა

A-6961 ვოლფურტი

ავსტრია

და

თბილისის მერიას შორის

შარტავას ქუჩა 7,

0160 თბილისი, საქართველო

დათარიღებული 2012 წლის 5 ივლისით

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: ________

Delta Translation Group

www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267

ხელშეკრულება გაფორმებულია:

DOPPELMAYR Seilbahnen GmbH-სა

A-6961 ვოლფურტი

ავსტრია

შემდგომში ხსენებული როგორც „საქონლის მომწოდებელი"

რომელიც წარმოდგენილია დსთ-ს ბაზრის მენეჯერი ვალერი იაშინის მიერ

და

თბილისის მერიას შორის

შარტავას ქუჩა 7,

0160 თბილისი, საქართველო

შემდგომში ხსენებული როგორც „მყიდველი"

რომელიც წარმოდგენილია ............ მიერ

**მუხლი 1 ხელშეკრულების საგანი**

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მთაწმინდის პარკში, თბილისი / საქართველო, მოსახსნელი ტიპის მონოკაბელური მგდ-8 ტიპის გონდოლის მოწყობილობის მიწოდება, პროექტის ინჟინერია, აწყობა, ტექნიკური დახმარება და ექსპლუატაციაში შეყვანა (დატვირთვის ტესტი).

1.2. მისაწოდებელი მოწყობილობა, მისი ტიპი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დანართი 1 ა და 1 ბ-ს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებია.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოწყობილობა მოწოდებული უნდა იქნას საბაჟო კოდი 8428600000-ის მიხედვით და უნდა შეესაბამებოდეს ხარისხისა და ტექნიკის სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია თანამედროვე ტიპის აღჭურვილობისთვის.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 2 საქონლის მომწოდებლის მიერ გასაწევი და მოსაწოდებელი ვალდებულებები, მასალები და მომსახურება, სამუშაოების მოცულობა**

2.1 საქონლის მომწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მყიდველს:

(ა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიკური და ელექტრო მოწყობილობები დანართი 1 ა და 1 ბ – ში მოცემული ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად, შემდგომში მოხსენებული როგორც ტექნიკა.

(ბ) ტექნიკის აწყობა, შემდგომში მოხსენებული როგორც აწყობა, მონტაჟი და ტექნიკის რეგულირება მონტაჟის შემდგომ ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით, სრული დატვირთვის ტესტირების და მყიდველის პერსონალის ტრენინგის ჩათვლით, როგორც ეს აღწერილია დანართებში 1 ა და 1 ბ.

(გ) დანიშნულების ოპერაციისა და ტექნიკური პერსონალის ადეკვატური სწავლება ადგილზე საოპერაციო მდგომარეობაში შეყვანის და ექსპლუატაციაში მიღების დროს, როგორც ეს აღწერილია დანართში 1 ბ.

2.2 საქონლის მომწოდებელი იხდის ავსტრიაში გადასახდელ საბაჟო გადასახადებს, ხარჯებს, ბეგარებს და სხვა ხარჯებს ავსტრიის ან ევროკავშირის საზღვარგარეთ მიწოდებული სამუშაოებისათვის, რომელიც შეიძლება დააკისროს ავსტრიის მთავრობამ და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ავსტრიაში ნებისმიერი საბანკო გადასახადს რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების მიზნებისთვის.

2.3. საქონლის მომწოდებელი უზრუნველყოფს აღჭურვილობას, როგორც ეს მითითებულია ამ ხელშეკრულების შესაბამის თავში. საქონლის მომწოდებელს არ შეაქვს ცვლილებები მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების და მომსახურებების მოცულობებში მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და ამგვარი თანხმობა არ რჩება უსაფუძვლოდ.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Grou
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

2.4. საქონლის მომწოდებელი თანახმაა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება და მომსახურება, რომელზეც გამყიდველი პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 3 მყიდველის მიერ გასაწევი ვალდებულებები და მომსახურება**

მყიდველი პასუხისმგებელია და იხდის ყველა ვალდებულებისა და მომსახურებისთვის მყიდველის მოვალეობებისა და ვალდებულებების დანართი 4-ის შესაბამისად.

3.2 მყიდველი პასუხისმგებელია ყველა მოიპოვოს ყველა უფლება, რომელიც საჭიროა საქართველოში აღჭურვილობის იმპორტისთვის და აგრეთვე მონტაჟის ზედამხედველობისთვის საჭირო ინსტრუმენტების დროებითი იმპორტისთვის და გარდა ამისა ნებართვები და სამუშაო ნებართვები რომლებიც საჭიროა საქონლის მომწოდებლის თანამშრომლებისთვის. თუ საზოგადო ნებართვები ან სხვა ორგანიზაციები აპირებენ შეცვალონ პროექტი, ამ შემთხვევაში ხარჯები ეკისრება მყიდველს.

3.3 მყიდველი იხდის ყველა საბაჟო გადასახადს, ხარჯებს, ბეგარებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც შეიძლება დააკისროს საქართველოს მთავრობამ ან ადგილობრივმა საზოგადოებამ და აგრეთვე მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

3.4 მყიდველი პასუხს აგებს და იხდის ყველა საბანკო გადასახადს, რომელიც წარმოიშობა საქართველოს რესპუბლიკაში.

3.5 მყიდველი იხდის ყველა სხვა ადგილობრივი მომარაგებისთვის, გარდა Doppelmayr-ის სამუშაოთა მოცულობაში მითითებულისა, და რომელიც არ შედის საქონლის მომწოდებლის მიერ გასაწევ ვალდებულებებში და მოსაწოდებელ მასალებსა და მომსახურებებში.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

3.6 მყიდველი თანახმაა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება და მომსახურება, რომელზეც პასუხისმგებელია მყიდველი იმ სამუშაოების განრიგის მიხედვით, რომელიც მოცემულია დანართში 2 და ხარისხისა და მუშაობის სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც აღწერილია სპეციფიკაციებსა და სამუშაო დოკუმენტაციაში.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 4 ფასი**

4.1 საქონლის მომწოდებლის მიერ მოწოდებული მონტაჟის სრული ფასი შეადგენს:

3.950.000,00 ევროს

(სამი მილიონი ცხრაას ორმოცდაათი ათასი ევრო)

საქართველოს გადასახადების გამოკლებით

ეს ფასი წარმოადგენს დანართ 1 ა-სა და 1 ბ-ში მითითებულ დეტალური მასალებისა და მომსახურების ჯამურ თანხას, შეფუთვის, გადაზიდვის და მონტაჟის ზედამხედველობის, ასევე დატვირთვის სრული ტესტირების ღირებულების ჩათვლით.

4.2 სამუშაოების თანხა მითითებულია მიწოდებისთვის DAP თბილისი, საქართველო (INCOTERMS 2010) და მოიცავს შეფუთვის თანხას.

4.3 თუ ისეთი მიზეზის გამო რომელიც არ ექვემდებარება საქონლის მომწოდებლის კონტროლს, პროექტის დასრულების თარიღი იქნება უფრო გვიანი ვიდრე 2013 წლის ივნისი, მაშინ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდება ფასის ადაპტაცია.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: ______

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

4.4 მონტაჟის ნებისმიერი მოდიფიკაცია ან ცვლილება, რომელიც განხორციელდა მყიდველის თხოვნით და მიღებულია საქონლის მომწოდებლის მიერ, თანხმდება წერილობით.

4.5 გადახდის ვალუტა არის ევრო.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 5 გადახდის პირობები**

სამუშაოს ჯამური ფასი

3.950.000,00 ევრო

(სამი მილიონი ცხრაას ორმოცდაათი ათასი ევრო)

გადაიხდება შემდეგნაირად:

30%-ის წინასწარი გადახდა საბანკო გადარიცხვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში

40% ექვემდებარება გადახდას არაუგვიანეს 2013 წლის 30 აპრილისა. მყიდველი წარმოადგენს შეუქცევად და უპირობო გადახდის გარანტიას, რომელიც გაიცემა საქონლის მომწოდებლის მიერ დადასტურებული ბანკის მიერ 1.580.000,00 ევროს ოდენობით და მოქმედებს 2013 წლის 30 ივნისამდე. საბანკო გარანტია გაიცემა თბილისის მერიის ბრძანებით, მისამართით: შარტავას ქუჩა 7, თბილისი, საქართველო ხოლო საგარანტიო ტექსტში, თბილისის მერია წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც განმცხადებელი, ასევე ნებისმიერი გარანტიის ტექსტის მონაწილე მხარის ბრძანებით როგორც განმცხადებელი თბილისის მერიის მხრიდან.

30% ექვემდებარება გადახდას არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა. მყიდველი წარმოადგენს შეუქცევად და უპირობო გადახდის გარანტიას, რომელიც გაიცემა საქონლის მომწოდებლის მიერ დადასტურებული ბანკის მიერ 1.185.000,00 ევროს ოდენობით და მოქმედებს 2014 წლის 28 თებერვლამდე საბანკო გარანტია გაიცემა თბილისის მერიის ბრძანებით, მისამართით: შარტავას ქუჩა 7, თბილისი, საქართველო ხოლო საგარანტიო

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
ტექსტში, თბილისის მერია წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც განმცხადებელი, ასევე ნებისმიერი გარანტიის ტექსტის მონაწილე მხარის ბრძანებით როგორც განმცხადებელი თბილისის მერიის მხრიდან.

ზემოთ მოცემული საბანკო გარანტიები უნდა განთავსდეს არაუგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა.

გადახდები უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ბანკი: UNICredit Bank Austria AG, A-6900, ბრეგენზი, ავსტრია

დახარისხების კოდი: 12000

BIC: BKAUATWW

IBAN: AT081200000439025909

ანგარიში 00439 025 909

ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტიების ხარჯებს იხდის მყიდველი.

მეორე და მესამე თანხის გადახდა უნდა მოხდეს არა უგვიანეს მითითებული თარიღებისა და ექვემდებარება ექსპედიტორის მიერ თბილისში აღჭურვილობის გაგზავნის დადასტურებას.

გადახდები უნდა განხორციელდეს თბილისის მერიის მიერ ან მესამე მხარის მიერ, გარდა თბილისის მერიისა, მოცემული ხელშეკრულების მიზნებისათვის.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 6 მიწოდება, აწყობა, ექსპლუატაციაში მიღება და ტრენინგი**

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აღჭურვილობის მიწოდება და მომსახურების შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დანართი 2-ის სამუშაო გრაფიკს და დასრულდება 08.04.2013 წლისათვის, იმ წინაპირობებით რომ,

ა) წინასწარი გადახდა ჩაირიცხება საქონლის მომწოდებლის ანგარიშზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში

ბ) საბანკო გარანტიები საქონლის მომწოდებელს გადაეცემა არაუგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: ________

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

გ) მყიდველის ვალდებულებები განხორციელდება დროულად დანართი 2-ისა და მე -4 დანართის შესაბამისად, კერძოდ:

- გეოლოგიური გამოკვლევები ჩატარდება არაუგვიანეს 2012 წლის 25 ივნისისა
- კოშკების და სადგურების ყველა საძირკველი, მათ შორის ოპერატორის კაბინები იქნება სუფთა და მტვრისგან თავისუფალი და მზად მონტაჟისთვის არაუგვიანეს 2012 წლის 26 ოქტომბრისა
- არ არის შეფერხებები საქართველოში მიწოდებული აღჭურვილობისა და იარაღის განბაჟებაზე (მყიდველის ვალდებულებები 2010 წლის ინკოტერმის შესაბამისად)
- ელექტროენერგიის მიწოდება ორივე სადგურზე: არაუგვიანეს 2013 წლის 20 იანვრისა. კონტრაქტორები შეეცდებიან სამუშაოების დასრულებას 2013 წლის 1 მარტამდე.

6.2 მოწყობილობა უნდა იყოს შეფუთული ჩვეულ რეჟიმში, რომელიც შესაფერისია საქალაქთაშორისო ან საზღვაო გზით საქალაქთაშორისო ტრანსპორტირებისთვის, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივა, რათა არ მოხდეს მისი დაზიანება ნორმალურ პირობებში.

6.3 აღჭურვილობის ადგილზე მისვლისთანავე, მყიდველმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის გამოცდილი პერსონალი, რომელიც საქონლის მომწოდებლის პერსონალს დაეხმარება სამონტაჟო სამუშაოებში და დატვირთვის ტესტში მყიდველის ვალდებულებების შესაბამისად. მყიდველმა უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგია, საწვავი და ბალასტი, რომელიც საჭიროა მსგავსი დატვირთვის ტესტირებისთვის.

6.4 არასრული მიწოდების, ავარიის ან დეფექტის შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აღჭურვილობაზე, მყიდველმა საქონლის მომწოდებელს უნდა წარუდგინოს პრეტენზია ასეთი არასრული მიწოდების ან დეფექტის მითითებით. პრეტენზიის მიღებისთანავე, საქონლის მიმწოდებელმა მისი შეხედულებისამებრ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს: ან აღჭურვილობის დეფექტების აღმოფხვრა; ან შეცვალოს წუნდებული აპარატურა ადეკვატური ხარისხის ახალი აპარატურით ან არასრული მიწოდების შემთხვევაში, მიაწოდოს დარჩენილი აღჭურვილობა.

6.4.1. აღჭურვილობის (საქონლის) დაბრუნებასთან და მათ შეცვლასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი 6.4 პუნქტის შესაბამისად უნდა დაიფაროს საქონლის მომწოდებლის მიერ და ექვემდებარება ამ ხელშეკრულების საგარანტიო პუნქტს 8.2.

6.5 მონტაჟის, საცდელი დატვირთვისა და დატვირთვის შემოწმების შემდეგ, საქონლის მომწოდებელი და მყიდველი თანხმდებიან სამუშაოს შემოწმებისა და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ისეთი დაწესებულების მიერ, რომელიც უფლებამოსილია დაადასტუროს სრული საბაგირო გზა საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)



/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

6.6 მონტაჟის ფაზის განმავლობაში, საქონლის მომწოდებელმა ინსტრუქტაჟი უნდა გაუწიოს სამუშაო და ტექნიკური სამუშაოების ეკიპაჟს ადგილზე მუშაობისა და ტექნიკური სამუშაოების შესახებ. ასეთი ინსტრუქტაჟი ტარდება ინგლისურ ენაზე და უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილზე ტრენინგის ფორმით.

**მუხლი 7 დაზღვევა**

საქონლის მომწოდებელი პასუხისმგებელია აღჭურვილობის მიწოდებაზე (DAP თბილისი/ საქართველო incoterms

2010).

მყიდველი პასუხს აგებს ადეკვატურ დაზღვევაზე, რაც აუცილებელია პროექტისთვის, როგორიცაა მესაკუთრის პასუხისმგებლობის დაზღვევა, ხანძრის რისკი და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში.

საქონლის მომწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა სრულ მოწოდებაზე, მათ შორის საქართველოში ტრანზიტის გადასახადის და შესაბამისი დაზღვევის ჩათვლით.

საქონლის მომწოდებელი პასუხისმგებელია სახმელეთო ან საზღვაო ტრანსპორტირებისთვის შესაბამის შეფუთვაზე.

საქონლის მომწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა აღჭურვილობის ტრანსპორტირებისა და ადგილზე (თბილისში) მიწოდების სათანადო დაზღვევაზე.

საქონლის მომწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა და იხდის ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მომწოდებლის თანამშრომლებთან ან / და კონტრაქტით და / ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პერსონალის დაავადებასა და დაზიანებებთან როდესაც ისინი მოქმედებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო მყიდველი უზრუნველყოფს გონივრულ დახმარებას.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 8 გარანტიები და უზრუნველყოფა**

8.1 საქონლის მომწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ მოწყობილობა იქნება დამზადებული უმაღლესი ხარისხის მასალებისგან, შესრულებული იქნება უმაღლესი კლასის პროფესიონალიზმით, იქნება ახალი და აქამდე გამოუყენებელი, იქნება დაყენებული პროფესიონალების მიერ, ხოლო დაყენების დროს, იგი იქნება

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ყველა თვალსაზრისით შესაბამისი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხის სტანდარტებთან და სპეციფიკაციებთან, ევროკავშირის საზაგირო გზების რეგულაციებთან და შესაბამის CEN–ის ნორმებთან იმ დონით რა დონითაც იქნება აღნიშნული ნორმები გამოყენებული მოცემულ პროექტში და აგრეთვე შესაძლებელი იქნება მისი უწყვეტი ოპერირება მაქსიმალური სიჩქარითა და სიმძლავრით. გარდა ამისა, საქონლის მომწოდებელი გარანტიას იძლევა, რომ მოწყობილობა არ არღვევს ნებისმიერი მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. საქონლის მომწოდებელი დაუყოვნებლივ ატყობინებს მყიდველს წერილობით იმ შემთხვევაში თუ ვერ ხდება წარმოდგენილი განცხადებების და გარანტიების დაცვა.

8.2 აპარატურა, მამჭიდროებელის და ცვეთადი ნაწილების გარდა, გარანტირებულია ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 1 (ერთი) წლის ვადით, ან ქარხნიდან გაგზავნის დღიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში, მოცემული პირობებიდან ერთ-ერთის უფრო ადრე დადგომის შემთხვევაში. მოცემული გარანტია მოიცავს ისეთი ნაწილების სუფთა და მარტივ გამოცვლას, რომლებიც აღიარებულია როგორც წუნდებული ან მათი განახლება საამქროში რეკომენდირებულია ან მიღებულია საქონლის მომწოდებლის მიერ უმოკლეს დროში.

ნაწილების ან მათი რემონტი გარანტიით ხდება საქონლის მომწოდებლის ხარჯზე, მყიდველისათვის დამატებითი ღირებულების გარეშე და არ გამოიწვევს საგარანტიო ვადის გაგრძელებას, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც აღიარებულია წუნდებულად, რომელთა გარანტიის ვადადაც ითვლება 1 (ერთი) წელი ჩანაცვლების დღიდან.

8.3 ყველა შეცვლილი წუნდებული საქონელი ან ნაწილები უნდა განთავსდეს საქონლის მომწოდებლის განკარგულებაში. გარანტიით მიწოდებული საქონლის მიწოდების პირობა იგივეა, რაც მოცემულია ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

8.4 ელექტრომოწყობილობის უპრობლემოდ ფუნქციონირება გარანტირებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის მიწოდება და ძაბვის რყევები არ ჩამოდის ან არ აჭარბებს ჩვეულებრივ ინდუსტრიულ ტოლერანტობას -10% / + 15% ოდენობით ნებისმიერ საოპერაციო პირობებში. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხს აგებს ჰარმონიული ფილტრების მიწოდებასა და მონტაჟზე.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

8.5 გარანტია კარგავს ძალას და საქონლის მომწოდებელი თავისუფლდება ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან თუ:

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

(ა) ნაწილები შეცვლილია სხვა წარმოშობის დაუდასტურებელი ნაწილებით;

(ბ) საბაგირო გარდაიქმნა ან შეიცვალა ნებისმიერი ფორმით საქონლის მომწოდებელთან თანხმობის გარეშე;

გ) დაზიანება გამოწვეულია დაუდევრობის, არასწორი გამოყენების, არასწორი მოვლის, არასათანადო მოხმარების ან თუნდაც წამიერი გადატვირთვის გამო;

ე) თუ ინციდენტები გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით, მათ შორის მაგრამ არ შემოიფარგლება ზვავი, მეწყერი ან მიწის ჩაწოლა, თოვლის ან ყინულის გადაჭარბებული დაგროვება, მიწისძვრები ან ტორნადოები.

8.6 საქონლის მომწოდებლის პასუხისმგებლობა მკაფიოდ შემოიფარგლება ზემოთ განსაზღვრული გარანტიით და მოცემული გარანტიის მოქმედების ვადით. საქონლის მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოქმედი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა შემსყიდველისათვის, რომელიც მოიცავს საქონლის მომწოდებლის პასუხისმგებლობას ელექტრომექანიკური, საწარმოო და სამშენებლო ზედამხედველობის ინჟინერიასთან დაკავშირებით.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 9 საკუთრების უფლებები**

ყველა მოწოდებული, აწყობილი ან სხვა ჩაბარებული ტექნიკა რჩება საქონლის მომწოდებელთან, მანამ სანამ ის არ ჩაბარდება მყიდველს.

დაგირავება ან დამცავი ტრანსპორტირება დაუშვებელია მთლიან გადახდამდე. მესამე მხარის მეშვეობით დაგირავების შემთხვევაში, ამგვარი ქმედება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქონლის მომწოდებელს.

მონტაჟთან დაკავშირებული რისკი გადაეცემა მყიდველს მას შემდეგ რაც იგი მოაწერს ხელს მონტაჟის გადაცემის/მიღების ოქმს (დანართი 3-ის შესაბამისად) ან იმ შემთხვევაში თუ ხდება დამონტაჟებული მოწყობილობის გამოყენება საზოგადოებრივ ტრანსპორტად.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.nword.ge

## მუხლი 10 ფორსმაჟორი, გათავისუფლება და კონფიდენციალურობა

10.1 ფორსმაჟორულად იგულისხმება ნებისმიერი ქმედება ან მოვლენა, რომელიც ან არაპროგნოზირებადია, ან, თუ ეს პროგნოზირებადია, არ ექვემდებარება საქონლის მომწოდებლის კონტროლს და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას. საქონლის მომწოდებლის ქვეკონტრაქტორების ნებისმიერი დარღვევა და შეფერხება არ განიხილება როგორც ფორსმაჟორული.

შესაბამისი სავაჭრო პალატის მიერ გაცემული სერთიფიკატები, რომლის ტერიტორიაზეც არის მხარე, რომელიც ექვემდებარება ფორსმაჟორულ გარემოებებს, წარმოადგენს ამგვარი გარემოებების საკმარის მტკიცებულებას.

10.2 გათავისუფლების საფუძვლად ჩაითვლება შემდეგი პირობები, მიუხედავად იმისა თუ ისინი ჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების ფორმირების შემდეგ და ხელს უშლიან მის შესრულებას:

სამრეწველო დავები და ყველა გარემოება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების არ ექვემდებარება მხარეების კონტროლს, მაგ. ხანძარი, მობილიზაცია, რეკვიზიცია, ემბარგო, სავალუტო შეზღუდვები, აჯანყება, მასალების ზოგადი დეფიციტი და ენერგიის გამოყენების შეზღუდვები.

10.3 მხარე, რომელიც წამოწევს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს წერილობით მათი წარმოქმნის და აგრეთვე მათი შეწყვეტის შესახებ, ფორსმაჟორული სიტუაციის შეწყვეტის დღიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები უნდა შეთანხმდნენ განსახორციელებელი ზომების შესახებ რომლებიც მისაღები იქნება ზემოაღნიშნული გარემოებებით შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორი გაგრძელდება 3 (სამი) თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები იკრიბებიან და განიხილავენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ თარიღს.

10.4 თუ ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი ნებისმიერი ლიცენზია, ნებართვა ან სხვა უფლებამოსილება იქნა უარყოფილი ან გაუქმდა, მხარეები ზედმეტი შეფერხების გარეშე იკრიბებიან, რათა განიხილონ შემდგომი ზომები ამგვარი სიტუაციის გამოსასწორებლად. თუ შესაბამისი ძალისხმევის მიუხედავად გონივრულ ვადაში ვერ იქნა მიღებული რაიმე სათანადო ზომები, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, შეწყვეტის დაუყოვნებლივ ძალაში შესვლით შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. თითოეულმა მხარემ უკან უნდა მიიღოს მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული გადახდები და / ან მიწოდებული საქონელი თუ მხარეთა და სხვა მხარეებს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267

**10.5.** ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს მოცემული ხელშეკრულება შეწყვეტის გადასახადის გარეშე, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევის გამო, ან თუ მეორე მხარე ხდება გადახდისუუნარო ან ავსებს ან შევსებული აქვს შუამდგომლობის საქმე მის წინააღმდეგ გაკოტრების შესახებ, კანონით ნებადართული მოცულობით. ასეთი შეწყვეტა ძალაში შევა ოცდაათ

(30) დღიანი წერილობითი შეტყობინების ბოლოს, თუკი მიზეზი არ იქნება გადაჭრილი. დანაკარგები, მათ შორის და არ შემოიფარგლება დაკარგული მოგებით, რომელსაც განიცდის შემწყვეტი მხარე შეუსრულებელი მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევის გამო, ექვემდებარება კომპენსაციას შეუსრულებელი მხარის მიერ.

**10.6.** საქონლის მომწოდებლის მიერ მისი მიზეზით დროის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მოცემული ხელშეკრულების დანართი 2-ის თანახმად, რის შედეგადაც მოხდა გაუმართავი შესრულება ან შეუსრულებლობა, საქონლის მომწოდებელმა უნდა გადაუხადოს მყიდველს ავანსის თანხის 0,1% ასეთი შესრულების ყოველი დაგვიანებული დღისთვის, რომელიც განისაზღვრება და არ აღემატება ავანსის თანხის 10%-ს.

**10.7.** იმ შემთხვევაში, თუ პროექტი, ყველა საჭირო შესრულების ჩათვლით არ არის დასრულებული 08.04.2013 წლისთვის და ეს გამოწვეულია საქონლის მომწოდებლით, ვალდებულმა მხარემ უნდა გადაუხადოს მყიდველს მთლიანი ხელშეკრულების ფასის 0,1% ასეთი შესრულების ყველა დაგვიანებული დღისთვის, რომელიც განისაზღვრება და არ აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 7% -ს.

**10.8.** წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მხარეები საიდუმლოდ ინახავენ და არ აქვეყნებენ მესამე პირების კონფიდენციალურ ინფორმაციას იმ მხარის თანხმობის გარეშე, რომელმაც წარადგინა მოცემული ინფორმაცია. ინფორმაცია განიხილება როგორც კონფიდენციალური, როდესაც მხარეთა მიერ მკაფიოდ აღინიშნება კონფიდენციალობა.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

**მუხლი 11 მოქმედი იურისდიქცია, მოქმედი კანონი, არბიტრაჟი, იურისდიქციის ენა, შეტყობინებები**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება ავსტრიის კანონით.

11.2 მხარეები შეეცდებიან იპოვონ მეგობრული გზა ნებისმიერი დავის გადასაჭრელად. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ამგვარი დავის შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში, დავა გადაეცემა არბიტრაჟს.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება საბოლოოდ გადაწყდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, სამი არბიტრის მიერ, რომლებიც დანიშნულია აღნიშნული წესების შესაბამისად. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა დაინტერესებული მხარეებისათვის, არბიტრაჟის ადგილი არის სტოკჰოლმი, შვედეთი.

11.4 დანიშნულების ადგილი ან ადგილები ჩაითვლება შესრულების ადგილად მიწოდებისა და გადახდის მიზნებისათვის.

11.5 ხელშეკრულების თანახმად, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება იგზავნება წერილობით ან / სატელეფონო ფაქსის საშუალებით.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა წერილობითი შეტყობინება უნდა გაიგზავნოთ მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებსა ან ფაქსზე. ფაქსების ან ქვემოთ მოცემული მისამართების ნებისმიერი ცვლილების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი შეცვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. შეტყობინებები და განცხადებები ჩაითვლება სათანადოდ გაგზავნილად მეორე მხარესთან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაიგზავნება ქვემოთ მითითებულ მისამართებსა და ფაქსებზე და თუ არ არის შეტყობინება მათი შეცვლის შესახებ.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 12 ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: 

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ყველა მანამდე დადებული შეთანხმება და ხელშეკრულება ხდება ბათილი და ძალა დაკარგული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მესამე მხარეს მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება, დანართი და დამატება ითვლება ვალიდურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი ფორმით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

ხელშეკრულება ფორმდება ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარე მიიღებს ერთ ასლს.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267

**მუხლი 13 წინამდებარე ხელშეკრულების ინტეგრირებული ნაწილები**

დანართი 1 ა / 1 ბ ტექნიკური მახასიათებლები სამუშაოების მოცულობა

დანართი 2 სამუშაოების გრაფიკი

დანართი 3 გადაცემის / მიღების ოქმი

დანართი 4 მყიდველის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

დანართი 5 საბანკო გარანტიის ნიმუში

დანართი 6 სათადარიგო ნაწილების სია

ხელმოწერილია მხარეთა სახელით:

| | |
|---|---|
| საქონლის მომწოდებლის მხრიდან | მყიდველის მხრიდან |
| (ახლავს ხელმოწერა) | (ახლავს ხელმოწერა) |
| ...................................... | ...................................... |
| ადგილი, თარიღი: ვოლფურტი, ........ | ადგილი, თარიღი: თბილისი ............ |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
ვალერი იაშინი (ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს კომპანიის ლოგო)

DOPPELMAYR Seilbahnen GmbH-სა

A-6961 ვოლფურტი

ავსტრია

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

ხელშეკრულება No. WAA0002267




/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| (ახლავს კომპანიის ლოგო) | | | | მშენებლობის გრაფიკი | | | | | | დანართი 2 ხელშეკრულება tract WAA0002267 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მომსახურების სამუშაოები | ხანგრძლივობა | 12 ივნისი | 12 ივლისი | 12 აგვისტო | 12 სექტემბერი | 12 ოქტომბერი | 12 ნოემბერი | 12 დეკემბერი | 12 იანვარი | 12 თებერვალი | 12 მარტი | 12 აპრილი |
| მთაწმინდის პარკის პროექტი | 44 კვირა | | | | | | | | | | | |
| 1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 2012 წლის 5 ივნისი | 0 კვირა | ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 2012 წლის 5 ივნისი | | | | | | | | | | |
| 2. წინასწარი გადახდა | 0 კვირა | | წინასწარი გადახდა | | | | | | | | | |
| 3. სადგურის კოორდინატების დადასტურება და მისი განლაგება | 4 კვირა | | სადგურის კოორდინატების დადასტურება და მისი განლაგება | | | | | | | | | |
| 4. პროექტის დიზაინი | 12 კვირა | | | | პროექტის დიზაინი | | | | | | | |
| 5. გეოლოგიური გამოკვლევები | 2,8 კვირა | | გეოლოგიური გამოკვლევები | | | | | | | | | |
| 6. კოშკების საჰირკვლის ნახაზი | 8 კვირა | | | კოშკების საძირკვლის ნახაზი | | | | | | | | |
| 7. განლაგების ნახაზები სადგურებისათვის | 3 კვირა | | განლაგების ნახაზები სადგურებისათვის | | | | | | | | | |
| 8. სადგურების საინჟინრო და საძირკვლის ნახაზები | 10 კვირა | | | | | სადგურების საინჟინრო და საძირკვლის ნახაზები | | | | | | |
| 9. სამშენებლო სამუშაოები (ყველა საძირკველი ოპერატორის კაბინის ჩათვლით) | 10 კვირა | | | | | სამშენებლო სამუშაოები (ყველა საძირკველი ოპერატორის კაბინის ჩათვლით) | | | | | | |
| 10. ელექტროენერგიის მიწოდება | 0 კვირა | | | | | | | ელექტროენერგიის მიწოდება | | | | |
| 11. გონდოლის აღჭურვილობის წარმოება | 27 კვირა | | | | | | | | | | გონდოლის აღჭურვილობის წარმოება | |
| 12. გონდოლის აღჭურვილობის მოწოდება | 6 კვირა | | | | | | | | | გონდოლის აღჭურვილობის მოწოდება | | |
| 13. ძირითადი მონტაჟი - 95 სამუშაო დღე | 13 კვირა | | | | | | | | | | ძირითადი მონტაჟი - 95 სამუშაო დღე | |
| 14. მონტაჟის ზედამხედველობა - 95 სამუშაო დღე | 13 კვირა | | | | | | | | | | მონტაჟის ზედამხედველობა - 95 სამუშაო დღე | |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: ________

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15. პროექტის საბოლოო დოკუმენტაცია (დამტკიცების ნახაზები, ოპერაციისა და ტექნიკური დოკუმენტაცია, სერთიფიკატები) | 0 კვირა | | | | | | | | | | | |
| 16. სატესტო გაშვება და ექსპლუატაციაში შეყვანა 08.04.2013 | 3 კვირა | | | | | | | | სატესტო გაშვება და ექსპლუატაციაში შეყვანა 08.04.2013 | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| პროექტი: პროექტი მთაწმინდის პარკის თარიღი: პარასკევი 2012 წლის პირველი ივლისი | საქონლის მომწოდებლის პასუხისმგებლობა შემსყიდველის პასუხისმგებლობა ურთიერთპასუხისმგებლობა პროექტთან დაკავშირებით | | | | | | | | | | | |
| გვერდი 1 | | | | | | | | | | | | |

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

დანართი 3

**WAA0002267**

გადაცემის / მიღების ოქმი

ობიექტი მონოკაბელური მგდ-8 ტიპის გონდოლა მთაწმინდის პარკში, თბილისი/საქართველო

საფუძველი ხელშეკრულება დათარიღებული....... შეკვეთა მონოკაბელური მგდ-8 ტიპის გონდოლის დაგეგმვის, წარმოების, მიწოდებისა და ზედამხედველობის შესახებ, რომელიც გადაეცა DOPPELMAYR Seilbahnen GmbH-ს, A-6961 ვოლფურტი, ავსტრია

ტესტი სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩატარდა სრული დატვირთვისა და დამუხრუჭების ტესტები .......... დან .......... მდე

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

შემოწმება ............ დან............. მდე განხორციელდა მონტაჟის შემოწმება

საქართველოს ხელისუფლების მიერ.

გადაცემა/მიღება მონოკაბელური გონდოლის მონტაჟი განხორციელდა

შესაბამისად. სატესტო გაშვებები ჩატარდა უპრობლემოდ და ორგანოს მიერ შემოწმება ჩატარდა წარმატებით. შესაბამისად, შეიძლება გამოცხადდეს მონტაჟის ჩაბარება / მიღების შესახებ. ინსტალაციის ექსპლუატაციის თარიღიდან ის გადადის პასუხისმგებლობაში და ამ თარიღიდან იწყება გარანტია ხელშეკრულების შესაბამისად. ტექნიკური პერსონალის ინსტრუქტაჟი ჩატარდა მონონაკებული გონდოლას აწყობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის დროს. გადაცემულ იქნა ტექნიკური და ექსპლუატაციის ინსტრუქციები.

................ კონტრაქტორი

................ DOPPELMAYR Seilbahnen GmbH-სა

თარიღი: ................... ............................. ................................

ხელმოწერა ხელმოწერა

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**დანართი 4**

**WAA0002267**

მყიდველის ვალდებულებები

- საბაგირო ხაზისა და ნიადაგის ინჟინერიის კვლევა (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რთულ ადგილებში განთავსებულ საძირკვლებს).
- საბაგირო ხაზის გასუფთავება კოდექსი მოთხოვნის მიხედვით და საბაგირო სადგურის არეალის (უბნების) საბოლოო მოწესრიგება, დიზაინის მიხედვით.
- სამშენებლო სამუშაოები.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

- სადგურის შენობები ან სადგურის აღჭურვილობის ზღუდეები, აგრეთვე დატვირთვისა და გადმოტვირთვის პლატფორმები / პანდუსები
- ოპერატორის ოთახები.
- გადმოტვირთვა ადგილზე.
- სატვირთო მანქანები, ამწეები და სხვა მექანიზმები, რომლებიც საჭიროა საბაგირო გზის აღჭურვილობის და საბაგირო მოზიდვის სამუშაოების მონტაჟისთვის, როგორც ეს აღწერილია RMS წინადადებაში.
- საბაგირო გზის დასრულებამდე ორივე სადგურისა და კოშკის საძირკველთან სათანადო შესასვლის მოწყობა და შენარჩუნება.
- ძირითადი კვება ტრანსფორმატორით და მთავარი ამომრთველით სადგურზე. საბაგირო ელექტროენერგიის მიწოდება და ძირითადი ამომრთველები თითოეულ სადგურზე. საჭიროების შემთხვევაში ჰარმონიული ფილტრები.
- ექსპლუატაციაში მიღების და დატვირთვის ტესტის მთელი პერიოდის განმავლობაში გარანტირებული უნდა იყოს უწყვეტი დენის მიწოდება.
- ყველა საჭირო საწვავი, ელექტროენერგია, ბალასტი და შრომა, რაც საჭიროა დატვირთვის ტესტისა და საცდელი პერიოდისთვის.
- საბაგირო გზის საბოლოო შეღებვა (სურვილის შემთხვევაში).
- საკმარისი სივრცე და წვდომა მასალების შენახვისა და საბაგირო კონსტრუქციის დადგმისა და აწყობისთვის.
- Doppelmayr- ის თანამშრომლებისთვის განთავსება და კვება პროექტის, მონტაჟის და ექსპლუატაციაში მიღების ეტაპების, აგრეთვე მათი ტრანსპორტირების დროს.
- საკაბელო სანგრები მიწისქვეშა მართვის კაბელისთვის (სურვილის შემთხვევაში). საჭიროების შემთხვევაში ტროსის შემოკლება.
- ელვისგან დაცვა (სურვილის შემთხვევაში).
- ხანძარსაწინააღმდეგო და ხანძრისგან დამცავი მოწყობილობები და აღჭურვილობა მოქმედი ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.
- მმართველი უწყებების მშენებლობის ყველა ნებართვა და დამტკიცება, ოფიციალური შეკვეთისა და დამტკიცების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოწმების ღირებულება.
- განბაჟება, საბაჟო გადასახადები, ბეგარები, დღგ და ნებისმიერი სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ავსტრიის გარეთ.
- ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული, რომ მიეკუთვნება ჩვენი მიწოდების სფეროს. RMS– ის შემოთავაზებაში მე –4 გვერდზე მითითებული ყველა პუნქტი, რომელიც არის თანდართული.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

შენიშვნა:

თუ საბაგირო გზის კომპონენტების შეკვეთა ხდება კლიენტის მიერ შერჩეული მწარმოებლისგან, იგი იღებს ვალდებულებას, რომ წარმოებას ზედამხედველობას გაუწევს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ინსპექტირების ორგანო (პროცესის შემოწმება და ტესტირება და საბოლოო შემოწმება და ტესტირება) საკუთარი ხარჯებით,

იმისათვის რომ გარანტირებული იყოს Doppelmayr-ის მიერ სპეციფიკაციებში მითითებული დებულებების და ინსტრუქციების შესრულება.

Doppelmayr Seilbahnen GmbH უნდა იყოს ინფორმირებული პასუხისმგებელი ინსპექტირების ორგანოს შესახებ.

შესრულების და წარმოების ზედამხედველობის შედეგები უნდა დადასტურდეს შემოწმების ორგანოს მიერ 3.1 ინსპექტირების სერტიფიკატში EN 10204:2004 შესაბამისად, რომელიც შემდეგ უნდა გადაეგზავნოს Doppelmayr Seilbahnen GmbH-ს.

თუ სერთიფიკატი არ არის წარმოდგენილი, Doppelmayr Seilbahnen GmbH იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს წარმოებული კომპონენტები მოცემული მონტაჟისთვის.

Doppelmayr არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიერ შეძენილი კომპონენტებისთვის.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: 

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267

**დანართი 1 ა**

## ძირითადი ტექნიკური მონაცემები

| სისტემა | DOPPELMAVR<br>მოსახსნელი მონოკაბელური გონდოლა | |
|---|---|---|
| ტიპი: | 8-მგდ | |
| ამძრავი სადგურის მდებარეობა | ზემოთ | |
| დასაბრუნებელი სადგურის მდებარეობა | ქვემოთ | |
| მომჭიმი სისტემის მდებარეობა | ქვემოთ | |
| მოჭიმვის ტიპი | ჰიდრავლიკური | |
| ბრუნვის მიმართულება | მარცხნივ | |
| ჰორიზონტალური სიგრძე | **1022,13** | მ |
| ვერტიკალური აწევა | **287,23** | მ |
| დახრილი სიგრძე | **1068,53** | მ |
| საშუალო კუთხე | **28,10** | % |
| საათობრივი მოცულობა (საწყისი / ბოლო) | 1135 | **pph** |
| ზედა მიმართულებით ტრანსპორტირება | 100 | % |
| ქვედა მიმართულებით ტრანსპორტირება | 100 | % |
| წამყვანი სიჩქარე, უსასრულოდ რეგულირებადი | 5 | მ/წ |
| სადგურის სიჩქარე | **0,25** | მ/წ |
| მგაზვრობის დრო | **4,64** | წთ |
| წამყვანი ტექნიკა, ტიპი<br>ელექტრო ძირითადი წამყვანი: | | |
| - უწვეტი საჭირო სიმძლავრე | **211** | k |
| - დაწყებისთვის საჭირო სიმძლავრე | **275** | W |
| - ვოლტაჟი | **380-400** | **k** |
| - სიხშირე | 50 | **W** |
| ავარიული წამყვანი, დიზელის სიმძლავრე (ISO 3046) | 60 | **V**<br>**Hz**<br>**kW** |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

| | | |
|---|---|---|
| გადამზიდავებ | 126.87 | მ |
| ის განთავსება | 25,37 | წმ |
| გადამზიდავებ | 8 | |
| ის ინტერვალი | | |
| მგზავრები თითო გადამზიდავზე | **21** | ცალი |
| გადამზიდავების | 1 | ცალ |
| რაოდენობა სხვა | 0 | ი |
| გადამზიდავების | 0 | ცალ |
| რაოდენობა: | | ი |
| - მომსახურების გადამზიდავი | ზედა სადგურში | ცალ |
| - სატვირთო გადამზიდავი | | ი |
| - VIP გადამზიდავი | მომსახურების | |
| გადამზიდავების პარკინგი | პლატფორმა ზედა | |
| - ლოკაცია | სადგური | |
| | 5 | |
| სამომსახურებო | | |
| | | ცალი |
| რელსი, ლოკაცია | **47** | |
| | **1544** | |
| | **1960** | მმ |
| სადგურების | | kN |
| | 5,20 | kN / mm2 |
| რაოდენობა | **5,20** | |
| | **5,20** | მ |
| ტროსი: | | მ |
| - დიამეტრი | | მ |
| - რეალური დატვირთვა | საჭიროებისამებრ | |
| - გამძლეობის ზღვარი | | |
| წამყვანი ბარაბნის | | |
| დიამეტრი უკანა სვლის | | |
| ბარაბნის დიამეტრი თოკის | | |
| ზომა საზაგირო გზაზე | | |
| საკონტროლო კაბელი: | | |
| - საკონტროლო ხაზების რაოდენობა | | |

ზემოთ მითითებული მონაცემები ექვემდებარება შეცვლას პროფილის საბოლოო განლაგების და დეტალური დიზაინის შემდეგ.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

დანართი 1ბ

მიწოდების მოცულობა

1.ბ.1 სტანდარტული მომსახურება

ამ სერვისებში შედის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, რაც აუცილებელია სრული მონტაჟის დიზაინის, მონტაჟის, სერთიფიცირებისა და დამტკიცებისთვის:

- სრული პროექტი, რომელიც შედგება:
  - ყველა საჭირო ინფორმაცია სანებართვო განაცხადებისთვის (პროფილი და ტექნიკური მონაცემები).
  - ძირითადი დიზაინის კრიტერიუმები, საბაგირო გზის საინჟინრო პარამეტრები (საბაგირო ხაზის გაანგარიშება, საძირკვლის ნახაზები, კოშკების და საძირკვლის გაანგარიშება) სპეციალური გეოლოგიური ნიადაგის პირობების შემთხვევაში,
  - როგორიცაა ჭაობი, მდინარეები, მყინვარი, კლდე და ა.შ., ჩვენი მომსახურება მოიცავს მხოლოდ საბაგიროდან წარმოქმნილ საპროექტო ძალებს.
  - დეტალური საამქრო ნახაზები ადგილობრივი წარმოებისთვის (წამყვანები, კოშკები, უღლები, კიბეები, სამუშაო პლატფორმები, წინა ანძები და მომსახურების რელსი).
  - საოპერაციო სახელმძღვანელოების სრული შემადგენლობა, მონაცემთა ცხრილების, ფუნქციური აღწერილობის, ტექნიკური განრიგის ჩათვლით.

- მექანიკური და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ზედამსხედველობა.
- დატვირთვის ტესტის ზედამხედველობა.
- ყველა დოკუმენტაცია მოწოდებული იქნება სამ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**1.ბ.2. აწყობის სამუშაოების მოცულობა**

**ტექნიკა და პერსონალი**

- 5 მემონტაჟე, რომლებიც აუცილებელია საბაგიროს მექანიკური და ელექტრო მონტაჟისთვის.
- ყველა ინსტრუმენტი, რომელიც აუცილებელია საბაგიროს მექანიკური და ელექტრო მონტაჟისთვის.
- ტროსის გაყვანის პროცესისთვის აუცილებელი ყველა ინსტრუმენტი საბაგიროს ტროსის და სასიგნალო კაბელის მოზიდვისთვის
- ტექნიკოსი, რომელიც გააკეთებს ახალი საბაგიროს თოკის შეჭდობას.
- ჩვენი აღჭურვილობის ტრანსპორტირება საქართველოდან და საქართველოში, საბაჟო პროცედურების ჩათვლით.

**პროცესის დინება**

ჩვენს გაანგარიშებას აქვს შემდეგი ხანგრძლივობა:

- სადგურების მონტაჟი 30 სამუშაო დღე 5 ადამიანი
- სასიგნალო კაბელის მონტაჟი 10 სამუშაო დღე 5 ადამიანი
- ტროსის გაყვანა 25 სამუშაო დღე 5 ადამიანი
- ტროსის შეჭდობა 8 სამუშაო დღე 5 ადამიანი
- ამძრავი სადგურის ფოლადის სტრუქტურა 15 დღე 5 ადამიანი
- დასაბრუნებელი სადგურის ფოლადის სტრუქტურა 15 დღე 5 ადამიანი

ამძრავი და დასაბრუნებელი სადგურის ელექტრო მონტაჟი 30 დღე 3 ადამიანი

- რეგულირების სამუშაოები 8 დღე 3 ადამიანი
- ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოები 6 დღე 3 ადამიანი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

ექსპლუატაციაში მიღების საერთო ხანგრძლივობაა 95 უწყვეტი და შეუფერხებელი სამუშაო დღე, ორშაბათიდან შაბათამდე, დღეში 10 საათი. თუ არსებობს გარკვეული შეფერხებები, რომლებიც არ არის გამოწვეული RMS– ით და გავლენას ახდენს ჩვენს გრაფიკზე ან სამუშაოების თანმიმდევრობაზე, ამ შეფერხებებისთვის მომწოდებელს ეკისრება დამატებითი გადასახადი.

**სამუშაოების ჩამონათვალი**

ჩვენ გთავაზობთ მთაწმინდის საბაგიროზე საბაგირო 8MGD-ს მექანიკურ და ელექტროსამონტაჟო და ტროსის გაყვანის პროცესს:

Pos. 1 ყველა საჭირო ინსტრუმენტის დაქირავება 8MGD მთაწმინდის საბაგიროს კოშკების და სადგურების დასაყენებლად ამწეების ხარჯების გარეშე. ამ პროცესის ყველა ინსტრუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინსტრუმენტების ჩამონათვალში კოშკების დასაყენებლად.

Pos. 2 8MGD მთაწმინდის საბაგიროს კოშკების და სადგურების ინსტალაცია ყველა საჭირო ინსტრუმენტის ჩათვლით, ამწეების ხარჯების გარეშე.

Pos. 3 ყველა საჭირო იარაღის დაქირავება საბაგიროს გაყვანის პროცესისთვის და 8MGD მთაწმინდის საბაგიროს სასიგნალო კაბელის გაყვანისა და მონტაჟისთვის, სახლებისა და გზების უსაფრთხოების დაცვის ჩათვლით.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

Pos. 4 8MGD მთაწმინდის საბაგიროს საბაგირო და სიგნალის კაბელის გაყვანის მონტაჟი საჭიროების შემთხვევაში, ამწეებისა და ხარაჩოების გარეშე.

Pos. 5 ელექტრო მონტაჟი და დახმარება 8MGD მთაწმინდის საბაგიროს ექსპლუატაციაში მიღებაში

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მომსახურებაში არ შედის სამოქალაქო და ელექტრო კავშირის სამუშაოები. გარდა ამისა, ჩვენი წინადადება ემყარება ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ ნახაზებისა და ფოტოებისგან. საჭირო ამწეების და აღჭურვილობის დასადგენად საჭირო იქნება ადგილზე ვიზიტი. ადგილზე ვიზიტის შემდეგ, ჩვენ ასევე მოგაწვდით ყველა იმ აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს, რომელსაც ვიყენებთ მონტაჟისთვის.

**არ შედის:**

- მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში 7-მდე დამხმარე შესაბამისი მექანიკური მშენებლობის სამუშაოებისთვის.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

- ყველა ტრანსპორტი ადგილზე ნებართვების ჩათვლით
- ამწეები ადგილზე მონტაჟის მთელი მშენებლობის პერიოდში, სპეციფიკაციების შესაბამისად
- საჭიროების შემთხვევაში ხარაჩოები.
- ნარჩენების გატანა

შემდეგი საიტის პირობები, აღჭურვილობა ან სერვისები უფასოდ უნდა იქნას მოწოდებული RMS პროფესიონალების მოსვლამდე

- ყველა ნებართვა ადგილზე (მიწის მესაკუთრის ნებართვა ფეხით მოძრაობასა და მთლიანი ხაზის მართვაზე)
- მანქანები საიტზე მემონტაჟეებისთვის
- ჩვენი ტექნიკოსების განთავსება და კვება (საუზმე, სადილი) ევროპული სტანდარტის მქონე ბინებსა და სასტუმროებში
- ხეების მოჭრა ხაზზე
- ყველა ელექტროგადამცემი ხაზის მიწაზე ჩამოწევა
- საზოგადოებრივი გზების დახურვა საჭიროების შემთხვევაში
- სავიზო პროცესი ჩვენი ტექნიკოსებისათვის
- ინფორმაციის მიწოდება პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებისათვის
- RMS აღჭურვილობის ადგილობრივი ტრანსპორტირება.
- RMS აღჭურვილობის უსაფრთხოების პატრულირება
- RMS– ს მიერ ყველა სახელოსნოს, შემნახველი ადგილების და საიტის სხვა საშუალებებზე შეუზღუდავი წვდომა და გამოყენება (მოთხოვნისამებრ)
- RMS პერსონალის სამედიცინო ევაკუაცია უახლოეს სამედიცინო დაწესებულებამდე
- ოპერაცია დასავლეთ ევროპის სტანდარტების შესაბამისად

ჩვენი შეთავაზება ემყარება ექსპლუატაციის საერთო ხანგრძლივობას 95 უწყვეტ, შეუფერხებელ სამუშაო დღეს.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**1.ბ.3 ბეტონის სამუშაოების ზედამხედველობა.**

**ტექნიკა და პერსონალი**

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
სამოქალაქო მშენებლობების ერთი გამოცდილი და კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**პროცესის დინება**

ჩვენი ხელმძღვანელის საიტზე ყოფნა იშლება კვირაში 3-ჯერ მგზავრობის დროის ჩათვლით: სულ 15 დღე

ხელმძღვანელი მხოლოდ ადგილობრივ კომპანიებს ეხმარება თავისი გამოცდილებით და იგი (ადგილზე ჩათვლით) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბეტონების სამუშაოების შესრულებას არსებული ნახაზების შესაბამისად (მათ შორის ფოლადის წამყვანის უკიდურესად ზუსტ და სწორ პოზიციონირებას).

მყიდველმა ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს ლაბორატორიული ტესტის შედეგი ბეტონის ხარისხის შესაფასებლად.

მეთვალყურე ასევე უნდა დაესწროს ბეტონის კუბის გატეხვის ტესტს და დაცემის ტესტს, რომლის საფუძველზეც მან დაუყოვნებლივ უნდა მიუთითოს (თუ საჭიროა) ხარისხის გაუმართაობა ან შეუსაბამობა შემდგომი სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას.

მეთვალყურეს არ მოაქვს ინსტრუმენტები.

**არ შედის:**

სავიზო პროცესი ჩვენი მეთვალყურისთვის

ჩვენი მეთვალყურის განთავსება და კვება (საუზმე, სადილი) ევროპული სტანდარტის მქონე ბინებსა და სასტუმროებში

მანქანა ან მძღოლი მანქანით მთელი დღის განმავლობაში ადგილზე

RMS პერსონალის სამედიცინო ევაკუაცია, დასავლეთ ევროპის სტანდარტების მქონე უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**1.ბ.4 საბაგირო ტექნიკა**

**ზედა წამყვანი სადგური**

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

- სრული წამყავნი სადგური, რომელიც შედგება:
- ფოლადის სტრუქტურა სისტემის გაშვებისა და ტრანსპორტირებისთვის
- მიწისქვეშა ტიპის წამყვანი ტექნიკა
- DOPPELMAYR-LOHMANN გადაცემათა კოლოფი
- ბარაბანი, გართვის დიზაინი, გასართი საკისარის ნაკრებით და ავარიული საკისარებით
- ტერმინალის გადასინჯვის განყოფილება
- მთავარი წამყვანი მუდმივი დენის ძრავით
- მთავარი ელექტრო კარადები და მართვის საშუალებები
- ავარიული წამყვანი მოწყობილობა (შეუძლია იმოქმედოს გადაცემათა კოლოფის საშუალებით ან გვერდი აუაროს გადაცემათა კოლოფს და იმოქმედოს უშუალოდ გადაცემათა კოლოფის რგოლზე რომელიც განთავსებულია წამყვან ბარაბანზე)
- მომსახურების, ავარიული და შემთხვევით უკან წამოსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭები
- დაშვების პლატფორმები და მოაჯირები
- გამშვები/ტრანსპორტირების სისტემა
- ტერმინალის პარკირების სისტემა.

**ქვედა დაბრუნების მოჭიმვის სადგური**

- სრული ქვედა დაბრუნების მოჭიმვის სადგური, რომელიც შედგება:
- მხარდამჭერი ფოლადის სტრუქტურა სისტემის გაშვებისა და ტრანსპორტირებისთვის
- ტექნიკის ჩარჩო
- ბარაბანი, გასართის დიზაინი ავარიული საკისრებით
- ჰიდრავლიკური მოჭიმვის სისტემა
- დაშვების პლატფორმები და მოაჯირები
- გამშვები/ტრანსპორტირების სისტემა

**პარკინგი (ზედა სადგურზე)**

- სრული ტერმინალის პარკირების სისტემა ზედა სადგურზე.
- მომსახურების გზა კომბინირებული რევიზიის განყოფილებასთან.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**გადამზიდები**

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

- კაბინები, მოდელი CWA OMEGA IV-8 Level-Walk-In 8x მჯდომარე მგზავრისთვის, ფოლადის ჩარჩოთი გალვანური, ალუმინის გარსით
- მოსახსნელი მომჭერი
- კარების ავტომატური გახსნის / დახურვის მექანიზმი
- განათება დამონტაჟებულია გარეთ და შიგნით სალაპარაკო მოწყობილობის ჩათვლით
- ორ ფერიანი
- სამომსახურეო გადამზიდი საკიდითა და მომჭერით

**საბაგიროს კაბელი**

გალვანური ფოლადის მავთულის თოკი, ბოჭკოვანი შიგთავსით.

**კოშკები (მოწოდება ხდება რუსეთიდან, სამარის ქალაქიდან)**

- მილისებური და გისოსებიანი კოშკები
- განივი კოჭები თოკის ამწევი ჩარჩოთი
- კიბეები და სამუშაო პლატფორმები.

**შკივის ნაკრებები**

- კორექტირების საშუალებით, საბაგიროს თოკის სათანადო რეგულირებისთვის
- უჭანჭიკო შკივები ტოკის გამტარი რეზინის ფენებით
- თოკის დამჭერი ხუნდები და სამუხრუჭე ჩანგლის გადამრთველები ყველა შკივის ნაკრებზე
- ჩარჩოები და საკიდარი გალვანიზირებული.

**გაყვანილობის მასალა**

- ელექტრული კაბელები გონდოლას სადგურებში ელექტრული კაბინეტის ძირითადი გამორთვის გადამრთველიდან საგუშაგო საბაგიროს ელექტრო მოწყობილობამდე.
- საკონტროლო კაბელი ხაზზე სადგურებს შორის.

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

**ელექტრო კონტროლი**

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: ____

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

- მთავარი წამყვანისთვის
- ავარიული წამყვანისთვის
- მომჭიმი მოწყობილობისთვის
- გადატვირთვისგან დაცვა
- ქარის სიჩქარის მრიცხველი და მიმართულების მაჩვენებელი
- სიჩქარის კონტროლი
- ანტი-შეჯახების კონტროლი
- გაშვების / ტრანსპორტირების გაუმართაობის მაჩვენებლები, ყველა საკონტროლო სქემა, სამუხრუჭე სისტემა, ჰიდრავლიკური დანადგარი
- სადგურებს შორის საკომუნიკაციო სისტემა
- რელსებიდან გადასვლის გამომრთველები კოშკებზე.

**ინსტრუმენტები და სპეციალური აღჭურვილობა**

- სრული სამუშაო ყუთი მომსახურების სამუშაოებისთვის
- საბაგირო ჩარჩოების ამწევი აღჭურვილობა
- შკივის გილზის მონტაჟის ინსტრუმენტები
- 2 სამაშველო მოწყობილობა
- სრული სამაშველო სისტემა (მექანიკური, ჰიდრავლიკური და ელექტრო მოწყობილობები ინტეგრირებული საბაგიროს უსაფრთხოების შესაბამის ქვედანაყოფებში ზედა სადგურზე, ქვედა სადგურსა და ხაზზე).
-

**ცვეთადი ნაწილები**

- მექანიკური ნაწილები, საკმარისია 2 წლის ან 3000 საათის ნორმალური მუშაობისთვის
- ელექტრო ნაწილები, საკმარისია 2 წლის ან 3000 საათის ნორმალური მუშაობისთვის.
-

**დაცვა ჟანგისგან**

- ცხელი გალვანიზაცია (ფოლადის კონსტრუქციები, შკივის ნაკრებები, საკიდები, თოკი)
- დაცვა ჟანგისგან + ლაკსაღებავიანი ზედაპირი (ძრავისა და გადაცემათა კოლოფის კორპუსები, ბარაბანი, კაბინა, ელექტრო კარადები).

(ახლავს ხელმოწერა)

(ახლავს ბეჭედი)

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
დანართი 5A

შეთანხმება WAA002267

შპს DOPPELMAYR Seilbahnen-ს, ნიმუშის გადახდის გარანტია, რიკენბახერსფრასა, 8-IO N6622, ვოლფურტი/ავსტრია

გადახდის გარანტიის N tor EUR 1.185.000,00 (ერთი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი ევრო)

ჩვენ გვეცნობა, რომ თქვე, დოპელმაიერ ზილბაჰენ გმბჰ (რიკენბაჰერშტრასე 8-10, A-6922, ვოლფურტი, ავსტრია) (შემდგომში - „ბენეფიციარი") გააფორმეთ ხელშეკრულება WAA0002267 და ამავე ხელშეკრულების დანართები (შემდგომში - „ხელშეკრულება") თბილისის მერიასთან,

(საქართველო, 0160. თბილისი, შარტავას, 7) (შემდგომში - „განაცხადის შემომტანი"), საქართველოში, თბილისში, მთაწმინდის პარკში, 8-MGD ტიპის ერთ ბაგირიანი გონდოლას აღჭურვილობის (შემდგომში - „აღჭურვილობა") მიწოდების, პროექტირების, აწყობის, ტექნიკური დახმარებისა ექსპლუატაციაში შეყვანის თაობაზე.

ხელშეკრულების სრული თანხა შეადგენს 3, 950, 000. 00 ევროს (სამი მილიონ, ცხრაას ორმოცდაათი ათასი ევრო), რომლიდანაც 30 % (ოცდაათი პროცენტი), ანუ 1, 185, 000, 00 ევროს (ერთი მილიონ, რვაას ორმოცდაათ ათასი ევრო)

გადახდა განხორციელდება არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

ჩვენ, ასევე, გვესმის, რომ ხელშეკრულების* თანახმად, განცხადების შემომტანი ვალდებულია ბენეფიციარს წარუდგინოს 1, 185, 000, 00 ევროს (ერთი მილიონ, რვაას ორმოცდაათ ათასი ევრო) თანხის საბანკო გარანტია, რათა უზრუნველყოს დამკვეთისთვის მისაწოდებელი აღჭურვილობისა და მომსახურების გადახდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ, ... (ბანკი), გამოუთხოვადად ვკისრულობთ, რომ გადავუხდით ბენეფიციარს, ყოველგვარი შედავებისა და გამონაკლისის გარეშე, ნებისმიერ თანხ(ებ)ა,

რომელიც ჯამში არ აღემატება

1, 185, 000, 00 ევროს (ერთი მილიონ, რვაას ორმოცდაათ ათასი ევრო)

თქვენგან, სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი მოთხოვნის დედნის, აღნიშნულ გარანტიაზე მითითებით, მიღებისთანავე, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ განცხადების შემომტანისთვის მიწოდებული აღჭურვილობის ანდა გაწეული მომსახურებისთვის გადაუხდელობის გამო, მოთხოვნილი თანხა გადახდას ექვემდებარება.

მაქსიმუმ 908, 500 ევრო (ცხრაას რვა ათას ხუთასი ევრო) ოდენობის თანხის გადახდის თქვენს მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

გადაუხდელი ზედნადებ(ებ)ის ასლი, რომელშიც ცალსახად მითითებული იქნება ზედნადების პუნქტები „აღჭურვილობა"

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
მიწოდებული აღჭურვილობის ანდა გაწეული მომსახურებისთვის გადაუხდელობის გამო, მოთხოვნილი თანხა გადახდას ექვემდებარება.

მაქსიმუმ 908, 500 ევრო (ცხრაას რვა ათას ხუთასი ევრო) ოდენობის თანხის გადახდის თქვენს მოთხოვნას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

გადაუხდელი ზედნადებ(ებ)ის ასლი, რომელშიც ცალსახად მითითებული იქნება ზედნადების პუნქტები „აღჭურვილობა"

ან „მომსახურება"

შესაბამის სატრანსპორტო დოკუმენტ(ებ)ის ასლს ზედნადებში მითითებული აღჭურვილობისთვის, თქვენი გადახდის მოთხოვნით მაქსიმუმ 276, 500 ევროს (ორას სამოცდათექვსმეტი ათას, ხუთასი ევრო) ოდენობის თანხაზე, უნდა თან ერთოდეს შემდეგი დოკუმენტი:

ბენეფიციარისა და დამკვეთის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ასლი

ზემოხსენებული დოკუმენტ(ებ)ით თანდართული თქვენი გადახდის წერილობით მოთხოვნას, იდენტიფიკაციის მიზნით, თან უნდა ერთოდეს ერთ-ერთი ჩვენი კორესპონდენტი ბანკის ხელმოწერილი დასტური, რომ ამ უკანასკნელმა ხსენებული გადახდის მოთხოვნაზე დასმული თქვენი ხელმოწერ(ები)ა დაადასტურა.

ჩვენთვის გარანტიით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ინგლისურ ენაზე უნდა იყოს შესრულებული, გარდა სატრანსპორტო დოკუმენტების წინასწარ დაბეჭდილი ფორმებისა, ბეჭდებისა, შტამპებისა და ბლანკებისა, რომლებიც მიიღება ნებისმიერ ენაზე.

წინამდებარე გარანტიიდან გამომდინარე ყველა საბანკო ხარჯსა და საკომისიოს იხდის განცხადების შემომტანი.

წინამდებარე გარანტიით მოთხოვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნას 2014 წლის 31 იანვრიდან. 201+.

წინამდებარე გარანტია ავტომატურად შეიკვეცება იმ თანხის შესაბამისად, რომელსაც დოპელმაიერ ზილბაჰენ გმბჰ (რიკენბაჰერშტრასე 8-10, A-6922, ვოლფურტი, ავსტრია) უპირობოდ მიიღებს თავის ანგარიშზე ....,. ,.. ., IBAN... ,.....„ BIC. წინამდებარე გარანტიასთან დაკავშირებით

N: .. ..,. და ხელშეკრულება WAA0002287 დაკავშირებით

გარანტიის მოქმედების ვადა

2014 (ორი ათას თოთხმეტი) წლის 28 თებერვლამდე

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)
აღნიშნული ვადის შემდეგ წინამდებარე გარანტია გაუქმდება და უმოქმედო გახდება ,მიუხედავად იმისა, დაგვიბრუნდება ჩვენ თუ არა. შესაბამისა,

ზემოხსენებული დოკუმენტებით თანდართული ნებისმიერი დოკუმენტი უნდა მივიღოთ აღნიშნულ თარიღში

ან აღნიშნულ თარიღამდე ჩვენს ზემოხსენებულ ოფისში.

წინამდებარე გარანტია მხოლოდ ბენეფიციარი სასარგებლოდ გაიცემა და

მისი მესამე მხარისთვის გადაცემა დაუშვებელია.

წინამდებარე გარანტიის მართვა ხორციელდება მოთხოვნის გარანტიების ერთიანი წესებით ICC პუბლიკაცია N 758 ('URDG 758').

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: 

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

Grunddaten Strukturstücklisten-Info

6

WAA0002267

Key 11114285 ERSATZTEILE I.A.E. MECHANISCH — Transfe — Zw GZ — KompMenge MEH.BedMenge

Bis Stufe : 1

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0\|11114285 | 1,000 | ERSATZTEILE I.A.E. MECHANISCH<br>PE \| G Z \| O | OX<br>OHNE WERKSTOFF-ANGABE | * | 0,000<br>ATBG2000<br>? | 1,000<br>??????,??? | |

| POS<br>Z-P<br>VKZ | Ident-Nr.<br>E.F.<br>E.D. | KOMP-MENGE<br>Länge<br>Breite | BEZEICHNUNG-1<br>BEZEICHNUNG-2<br>DA \| TEXT-NR. \| G S \| ORL \| STA | ZEICHNUNGSNUMMER<br>WERKSTOFF<br>EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/BGME<br>WEICHE R-AG<br>APL-NR | BEDARF IN STK<br>BEDARF<br>ARTIKEL-GEW(KG) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10<br>0<br>0 | LEER | 1,000 | ---------------<br>TF \| G 1 \| 20 | Klemme DT108 | * | 0,000 STK<br>TON | 1,000<br>??????,??? |
| 20<br>13<br>0 | 10450042<br>10168914 | 1,000 | [illegible] DT108/4/8<br>[illegible]<br>TF \| 03080022 \| G 1 \| S2 \| 10 | 20002780J100304.A<br>[illegible]<br>10% | * | 0,111 STK<br>30B | 1,000<br>0,111 |
| 30<br>14<br>0 | 10470181<br>10004035 | 2,000 | DGBB DIN625/1- 6206-2RS1-C3 LT<br>VT210 TTF 90% +/-5% [illegible]<br>TF \| 10420181 \| G 1 \| 10 | 10% | * | 0,201 STK<br>04A | 2,000<br>0,402 |
| 40<br>18<br>0 | 10450043<br>10198421 | 2,000 | [illegible] 180 ... DT108<br>.60 -0.2/-0.25<br>TF \| 03080023 \| G 1 \| S2 \| 10 | 20004866J100304<br>[illegible]<br>10% | * | 0,901 STK<br>30B | 2,000<br>1,802 |
| 50<br>19<br>0 | 10168916<br>SIEHE TEXT | 2,000 | [illegible] .40 EL 102.5 M20X1.5<br>TF \| 10168916 \| G 1 \| S1 \| 10 | 20002701J100304.A<br>34CRNIMO6 V DIN 17200 | * | 1,201 STK<br>15A | 2,000<br>2,402 |
| 60<br>20<br>0 | 10420187<br>10004915 | 6,000 | DGBB DIN625/1- 6208-2RS1-C3 LT<br>VT210 TTF 90% +/-5% [illegible]<br>TF \| 10420187 \| G 1 \| 10 | 10% | * | 0,351 STK<br>04A | 6,000<br>2,106 |
| 70<br>32<br>0 | 10132428 | 1,000 | [illegible] DT106 M12 [illegible]<br>[illegible] EL.10C<br>TF \| GAL00500 \| G 1 \| C \| 10 | 20001415J100304.A | * | 9,072 STK<br>30B<br>? | 1,000<br>9,072 |
| 80<br>41<br>0 | 10146409 | 2,000 | [illegible] PM 2830 DS [illegible] KN<br>W/O [illegible]<br>TF \| 10146409 \| G 1 \| 10 | 10% | * | 0,020 STK<br>04B | 2,000<br>0,042 |
| 90<br>42<br>0 | 10137721 | 2,000 | [illegible] PM 3230 DS [illegible] KN<br>W/O [illegible]<br>TF \| G 1 \| 10 | 10% | * | 0,037 STK<br>04B | 2,000<br>0,074 |
| 100<br>43<br>0 | 10137723 | 2,000 | [illegible] PM 7520 DS [illegible] KN<br>W/O [illegible]<br>TF \| G 1 \| 10 | 10% | * | 0,074 STK<br>04B | 2,000<br>0,149 |
| 110<br>47<br>0 | 10168913<br>10214093 | 1,000 | [illegible] DT106 EL [illegible] M26X1.5<br>TF \| 10168913 \| G 1 \| S1 \| 10 | 20002779J100304.A<br>34CRNIMO6 V DIN 17200 | * | 0,301 STK<br>15A | 1,000<br>0,301 |
| 120<br>48<br>0 | 10450045<br>10216699 | 1,000 | [illegible] 130 MM<br>[illegible] DS109/DT106/DT108<br>TF \| 03080023 \| G 1 \| S2 \| 10 | 20003795J100304<br>[illegible]<br>10% | * | 0,441 STK<br>30B | 1,000<br>0,441 |
| 130<br>0<br>0 | 10222707 | 5,000 | [illegible] DT 108<br>[illegible]<br>PE \| G 1 \| 10 | D2<br>SIEHE STUECKLISTE | * | 2,001 STK<br>TON | 5,000<br>10,005 |
| 140<br>3<br>0 | 10734663<br>10626482 | 2,000 | [illegible] DT108 [illegible] 1<br>[illegible] 41-47 MM<br>TF \| 10734663 \| G 1 \| S2 \| 10 | 20016075J100300 A<br>PEBA E 52-E3 SCHWARZ 52SHORE D<br>20 Prozent | * | 0,661 STK<br>30B | 2,000<br>1,322 |
| 150<br>0<br>0 | LEER | 1,000 | ---------------<br>TF \| G 1 \| 92 | Kabine | * | 0,000 STK<br>TON | 1,000<br>??????,??? KG |
| 160<br>0<br>0 | 10065975 | 1,000 | [illegible] CWA 1x2,8M/M8<br>CWA ID NO. 516911<br>TF \| 10065975 \| G 2 \| O \| 10 | CWA_516911 | * | 2,501 STK<br>CWA01 | 1,000<br>2,501 |
| 170<br>0<br>0 | 10065977 | 1,000 | [illegible] CWA CW OUTS<br>ART [illegible] 411450 [illegible] /CL.<br>TF \| 10065977 \| G 2 \| O \| 10 | CWA_411450 | * | 5,001 STK<br>CWA01 | 1,000<br>5,001 |
| 180<br>0<br>0 | LEER | 1,000 | ---------------<br>TF \| G 1 \| 92 | Antrieb + Umkehr | * | 0,000 STK<br>TON | 1,000<br>??????,??? |
| 190<br>0<br>0 | 10/108,3<br>10013174 | 1,000 | [illegible]<br>PE \| G 1 \| O \| 10 | C2<br>SIEHE STUECKLISTE<br>Umkehr Zahlbar | * | 0,040 STK<br>24F | 1,000<br>0,040 |
| 200<br>0<br>0 | 10096801<br>10004241 | 2,000 | [illegible] 194 MX 5.0<br>[illegible]<br>TF \| 10096801 \| G 1 \| 10 | 20000702J0012592<br>DRAHT FD-5,0 VERZ DIN 17223/2<br>10m rolle | * | 0,050 STK<br>33D | 2,000<br>0,100 |
| 210<br>0<br>0 | 10134472<br>10004050 | 2,000 | [illegible] DIN625/1 6006 2RS<br>[illegible]<br>TF \| 10134472 \| G 1 \| 10 | 0006980010SANK<br>Tachoantrieb | * | 0,191 STK<br>04A | 2,000<br>0,382 KG |
| 220<br>0<br>0 | 10103860 | 1,000 | [illegible] 60 / 14 8+ 10 0<br>[illegible]<br>TE \| G 1 \| 10 | 20003684D000304<br>STAHL<br>Tachoantrieb | * | 0,201 STK<br>15D<br>10103860 | 1,000<br>0,201 KG |

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.rword.ge

Grunddaten Strukturstückliste Info  L/01  PGC17G PW JV 24-04-17 09:03:55 S: 2

11114285 ERSATZTEILE I.A.S. MECHANISCH  AG 02  FROULOGGDIN 10 Baukasten Komplett  BC  2012.04.18

KompMenge MEH BedMenge  BA R EK GS SA ZeichNr

| POS Ident-Nr<br>VK \| E.D | KOMP-MENGE<br>Länge<br>Breite | BENENNUNG-1<br>BENENNUNG-2<br>BA \| TEXT-NR. \| G S \| QKL \| STA | ZEICHNUNGSNUMMER<br>WERKSTOFF<br>EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/BEME<br>WERKS R-AG<br>APL-NR | BEDARF IN STK<br>BEDARF<br>ARTIKEL-GEW(KG) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 230 \| 10019089 | 1,000 | SC / 9 S 4.0<br>HDG<br>TE \| \| G 1 \| \| 10 | 24419D011901<br>SIEHE STUECKLISTE<br>Tachoantrieb | * | 0,151 STK<br>15B<br>ENAVE | 1,000<br>0,151 |
| 240 \| 10022032 | 2,000 | SG DIN625/1-6016-2RS<br>TP \| \| G 1 \| \| 10 | 6016P000105ANR<br>Zwischenlagerung | * | 1,001 STK<br>04A | 2,000<br>2,002 |
| 250 \| 10020270 | 2,000 | 240X120 S=10<br>TE \| \| G 1 \| \| 10 | 10270D012010<br>SIEHE STUECKLISTE<br>Sicherheitsbremse | * | 3,201 STK<br>23N<br>10020270 | 2,000<br>6,402 |
| 260 \| 10019334 | 1,000 | P. CYL. [illegible]<br>CYL. [illegible]<br>GE \| \| G 1 \| \| 10 | 460Q0419600<br>SIEHE STUECKLISTE<br>Zylinder Sicherheitsbremse | * | 0,031 STK<br>10C<br>M0521000 | 1,000<br>0,031 |
| 270 \| 10260335 | 1,000 | [illegible] D/E<br>GE \| 10260335 \| G 1 \| G \| 10 | 20126... A<br>SIEHE STUECKLISTE<br>Betriebsbremse | * | 0,031 STK<br>10C<br>10260335 | 1,000<br>0,031 |
| 280 \| 10115658 | 1,000 | D<br>20006800D/.6001C/.6002D/.6003D<br>PE \| \| G 1 \| \| 10 | OE<br>OHNE WERKSTOFF-ANGABE<br>Betriebsbremse | * | 0,017 STK<br>10C | 1,000<br>0,017 |
| 290 \| 10748514 | 1,000 | DICHTSATZ ANTR. GPW 190+235<br>KOMPLETT FÜR ANTRIEBSWELLE<br>PE \| \| G 1 \| G \| 10 | SIEHE STUECKLISTE<br>GPW 235 | * | 0,000 STK<br>23B | 1,000<br>??????,??? |
| 300 \| LEER | 1,000 | ----------------<br>TP \| \| G 1 \| \| 27 | Stationen: | * | 0,000 STK<br>TGN | 1,000<br>??????,??? |
| 310 \| 10722369 | 1,000 | AUX.SWITCH HOUS. ZEK-31N29833<br>TF \| 10722369 \| G 2 \| C \| 10 | Sit. Ein- Ausstieg. Weiche | * | 0,301 STK<br>24F | 1,000<br>0,301 |
| 320 \| 10772027 | 1,000 | ZCK-31N29<br>TF \| \| G 1 \| \| 10 | Sit. Ein- Ausstieg. Weiche | * | 0,301 STK<br>24F | 1,000<br>0,301 |
| 330 \| [illegible]<br>6 \| 11135936 | 1,000 | HB-65-200-EZ-XP<br>COMPR./PULL FORCE 2-60 ACE<br>TF \| 10205552 \| G 8 \| C \| 10 | Gedämpfte Führungsschiene | * | 7,501 STK<br>05E | 1,000<br>7,501 |
| 340 \| 10434856<br>4 \| 10132169 | 1,000 | T.SPR. W=10.5/OD=65.0/UL=490.0<br>RT= 40.8, DIN 2097<br>TF \| 10434959 \| G 1 \| C \| 10 | 200465768001300 A1<br>Gedämpfte Führungsschiene | * | 4,651 STK<br>05A | 1,000<br>4,651 |
| 350 \| 10805838 | 1,000 | CON.GDML2011LED-24-VR-VE<br>HIRSCHMANN 933 [illegible]-212<br>TP \| 10805838 \| G 1 \| G \| 10 | 667071<br>Stecker für Bremskupplung | * | 0,000 STK<br>24F | 1,000<br>??????,??? |
| 360 \| 10082482 | 5,000 | AS [illegible] BL=1500<br>DIN 2793-1<br>CF \| 10082482 \| G 1 \| \| 10 | Reifenförderer | * | 0,581 STK<br>23G | 5,000<br>2,905 |
| 370 \| 10270789 | 1,000 | BEARING ASSLY<br>[illegible] 30<br>GE \| \| G 1 \| ZB \| 10 | 20026262R301701 A<br>SIEHE STUECKLISTE<br>Reifenförderer | * | 10,521 STK<br>16G<br>M0510420 | 1,000<br>10,521 |
| 380 \| 10622234<br>6 \| 10211826 | 2,000 | COMPLETE "DOPPELNAHT-G"<br>3.5 - 5.0 BAR<br>CF \| 10622234 \| G 1 \| \| 10 | Reifenförderer | * | 5,401 STK<br>16F | 2,000<br>10,802 |
| 390 \| 10655976<br>4 \| 10213958 | 4,000 | 8.8 M12X 30 SPEC.<br>DIN 931 + WASHER<br>PR \| \| G 1 \| \| 10 | OE 3D<br>SIEHE STUECKLISTE<br>Reifenförderer | * | 0,031 STK<br>03A | 4,000<br>0,124 |
| 400 \| 10616666 | 2,000 | DGBB DIN625/1- 6200-2RS1-C3OLE<br>VT210 (90%+5%)<br>TP \| 10616666 \| G 1 \| \| 10 | Bremskupplung | * | 0,301 STK<br>04A | 2,000<br>0,602 |
| 410 \| 10861716 | 1,000 | DGBB DIN625/1- 6311-2RS-C3 OLE<br>VT210 (90% +5%)<br>TP \| 10861716 \| G 1 \| \| 10 | Bremskupplung | * | 0,620 STK<br>04A | 1,000<br>0,620 |
| 420 \| 10861717 | 1,000 | DGBB DIN625/1- 6212-2RS-C3 OLE<br>VT210 (90% +5%)<br>TP \| 10861727 \| G 1 \| \| 10 | Bremskupplung | * | 0,820 STK<br>04A | 1,000<br>0,820 |
| 430 \| 10004079 | 10,000 | DGB DIN 625/1 6306-2RS1<br>(TTF 60%)<br>TF \| 10004079 \| G 1 \| \| 10 | 6306P600155-10ANR<br>Lagerung, Klemmdämmer | * | 0,301 STK<br>04A | 10,000<br>3,010 |
| 440 \| 10274814 | 2,000 | COLD-R. ZCK-F626<br>TF \| 10274814 \| G 2 \| C \| 10 | 646954<br>Hubeinr RF. | * | 0,181 STK<br>24F | 2,000<br>0,362 |
| 450 \| 10397941<br>9 \| 10152337 | 1,000 | H.CYL. CG210N08X<br>FESTO<br>TF \| 10397941 \| G 1 \| \| 10 | T-0130<br>Hubeinrichtung Reifenförderer | * | 2,001 STK<br>31A | 1,000<br>2,001 |
| 460 \| 10004307<br>10 \| 23008781 | 2,000 | 20X12 2X1.5X72.25<br>ACC TO DIN 7603<br>TF \| 10004307 \| G 1 \| \| 10 | 13000610350<br>58 CR V 4 DIN 17222<br>Hi-Einrichtung, Silk-A | * | 0,006 STK<br>05C | 2,000<br>0,012 |
| 470 \| 10758169<br>13 \| 10055969 | 1,000 | 310-0012<br>NO.601 .431.869 BERNSTEIN<br>TF \| 10758169 \| G 1 \| C \| 10 | 619812<br>Reiszleine | * | 0,581 STK<br>24F | 1,000<br>0,581 |

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)



Dis.Stufe 1 Menge Kopf 11114295 ERSATZTEILE I.A.E. MECHANISCH Pos PRODLOGO DIN 10 Baukasten Komplett 2012.04.18
KompMenge MEH BedMenge BA D TK GS SA ZeichNr

| POS<br>Z-P<br>VKZ | Ident-Nr.<br>E.T.<br>E.D. | KOMP-MENGE<br>Laenge<br>Breite | BEZEICHNUNG-1<br>BEZEICHNUNG-2<br>SA TEXT-UR. G 9 OKL STA | ZEICHNUNGSNUMMER<br>WERKSTOFF<br>EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/DIME<br>WEICHE X-AO<br>ABL-NR | BEDARF IN STK<br>BEDARF<br>ARTIKEL-GEW(KG) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 480<br>16<br>0 | 10003997 | 4,000 | DG AX THR BEAR DIN 711/1-51104<br>TF G 1 10 | 51104P6C0001ANR<br>Situation Ein- Ausstieg | * | 0,040 STK<br>04A | 4,000<br>0,160 |
| 490<br>16<br>0 | 10000469 | 2,000 | SCX18.3X2.50/4.15<br>ACC.TO DIN 2093<br>TF 10000469 G 1 10 | 50 CR V 4 DIN 17221<br>Situation Ein- Ausstieg | * | 0,030 STK<br>05C | 2,000<br>0,060 |
| 500<br>16<br>0 | 10494432<br>10010355 | 2,000 | 750 2000<br>TF 10494432 G 1 C 10 | 491102<br>Situation Ein- Ausstieg | * | 0,451 STK<br>05B | 2,000<br>0,902 |
| 510<br>16<br>0 | 10769449<br>10017052 | 2,000 | 65 B=32 2<br>TF 10769440 G 1 C 10 | 17690281.A<br>PA6 PU 540 G<br>Situation Ein- Ausstieg | * | 0,161 STK<br>10C | 2,000<br>0,322 |
| 520<br>24<br>0 | 10501565 | 2,000 | DGBB DIN625/1- 6310-2RS1-C3GLE<br>VT210 (90% +/-5%)<br>TF 10501989 G 2 10 | Seilradaufz. DT/AGA OLE-FETT | * | 1,161 STK<br>04A | 2,000<br>2,322 |
| 530<br>24<br>0 | 10616666 | 2,000 | DGBB DIN625/1- 6208-2RS1 C3GLE<br>VT210 (90%+5%)<br>TF 10616666 G 1 10 | Seilr.Riemensp. DT/AGA OLE-FET | * | 0,301 STK<br>04A | 2,000<br>0,602 |
| 540<br>33 | 10275085 | 3,000 | CC/HCC DL=6150 MM<br>SPTIBELT<br>TF 10275085 G 1 C 10 | Seilradantr. DT/AGA | * | 1,751 STK<br>33G | 3,000<br>5,253 |
| 550<br>29<br>0 | 10004026 | 4,000 | DGB BEARING DIN625/1- 6305-2RS<br>TF G 1 10 | 6305P6C0105ANR<br>Weiche gerade, geb.,+DF | * | 0,221 STK<br>04A | 4,000<br>0,884 |
| 560<br>29<br>0 | 10004592 | 2,000 | RAD.SH DS DIN3760 A 40X 52X 7<br>TF G 1 10 | 3130Q410250<br>NBR - 75 SHORE A<br>Weiche gerade,+DF | * | 0,012 STK<br>10A | 2,000<br>0,024 |
| 570<br>29<br>0 | 10019700 | 2,000 | DIN 618 HK 4020<br>TF G 1 10 | 4020P7210ANR<br>Weiche gerade,DF | * | 0,050 STK<br>04A | 2,000<br>0,100 |
| 580<br>29<br>0 | 10020357 | 5,000 | DH516 2 0<br>8 0 14,0<br>TF G 1 10 | 2V711000<br>Weiche gerade, geb.,+DF | * | 0,005 STK<br>01F | 5,000<br>0,025 |
| 590<br>29<br>0 | 10094297 | 2,000 | PM 1215 DX<br>TF G 1 10 | Weiche gerade, geb.,+DF | * | 0,005 STK<br>04B | 2,000<br>0,010 |
| 600<br>29<br>0 | 10726509 | 4,000 | PM 2020 DS EN<br>W/O<br>TF G 1 C 10 | Weiche gerade, geb.,+DF | * | 0,010 STK<br>04B | 4,000<br>0,040 |
| 610<br>41<br>0 | 10013170 | 1,000 | COLD R ZCK-E056<br>TF 10013170 G 1 10 | 966851<br>Sicherheitseinrichtung | * | 0,201 STK<br>24F | 1,000<br>0,201 |
| 620<br>31<br>0 | 10013172 | 1,000 | ZCK-X13<br>TF 10013172 G 1 10 | 800954<br>Sicherheitseinrichtung | * | 0,020 STK<br>25F | 1,000<br>0,020 |
| 630<br>31<br>0 | 10277657<br>10057585 | 1,000 | IG5521 IFM<br>INDUCTIVE (DIA.18) PNP PROX<br>TF 10277657 G 1 10 | 672122<br>Sicherheitseinrichtung | * | 0,151 STK<br>24E | 1,000<br>0,151 |
| 640<br>31<br>0 | 10747957 | 2,000 | ART.NO 705057<br>IS-3073SSPRG/SS-005-K<br>TF 10747957 G 1 10 | 544186<br>Sicherheitseinrichtung | * | 0,301 STK<br>24S | 2,000<br>0,602 |
| 650<br>33<br>0 | 10661306<br>10145444 | 1,000 | DRM 175X35X16<br>0.5M<br>TF 10661506 G 1 10 | 508736<br>Förderseilerdung | * | 1,441 STK<br>32K | 1,000<br>1,441 |
| 660<br>0<br>0 | LEER | 1,000 | TF G 1 82 | Stationsrollen: | * | 0,000 STK<br>TON | 1,000<br>??????,??? |
| 670<br>14<br>0 | 10186322 | 1,000 | 403 CW 43 DIA435<br>W/O<br>GE G 7 KB 10 | 20001947G004801 A1<br>SIEHE STUECKLISTE | * | 29,311 STK<br>16D<br>M0507807 | 1,000<br>29,311 |
| 680<br>14<br>0 | 10149393<br>10045810 | 2,000 | 321 BX 4,0<br>TF 10149393 G 1 82 10 | 20001458G004802 A3<br>DRAHT FD-4,0 VERG. DIN 17223/2<br>Einlaufbatterie 403 | * | 0,211 STK<br>03D | 2,000<br>0,422 |
| 690<br>14<br>0 | 10293343<br>10002547 | 1,000 | 28.5 DL 172 M20<br>402/403<br>TF G15A2888 G 7 82 10 | 20003574G004702 A4<br>42CRMO4+QT EN 10083-1<br>Einlaufbatterie 403 | * | 0,611 STK<br>15A | 1,000<br>0,611 |
| 700<br>11<br>0 | 10096799<br>10004240 | 2,000 | 393.5X 6.3<br>TF 10096799 G 1 82 10 | 20000699G005902 A<br>DRAHT FD-6.3 VERG. DIN 17223/2<br>Seilrolle Vertikal, Horizontal | * | 0,311 STK<br>03D | 2,000<br>0,622 |
| 710<br>14<br>0 | 10044115 | 2,000 | 108 5/ 50.1 S= 12.5<br>TF 01560101 G 1 C 10 | 34940E001280.D<br>POS 1-ST, POS 2-PA6 POT/B NATUR<br>Seilrolle Vertikal, Horizontal | * | 0,181 STK<br>15B | 2,000<br>0,362 |
| 720<br>15<br>0 | 10252689<br>10190196 | 1,000 | M24, INKOS<br>400/501<br>GE G 1 10 | 20002563G005502<br>SIEHE STUECKLISTE | * | 0,801 STK<br>TON<br>WEICHEWK | 1,000<br>0,801 |

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)



Stufe 1 Menge 1 Sachnr 11114295 ERSATZTEILE Z.A.K. MECHANISCH PRODLGGOGDIN 10 Baukasten Komplett
Zu OS Komplmenge MEN.Bedmenge Gestelle BC 2012.04.16
BA B KK OS SA Zeichn:

| POS / Ident-Nr / E.P. / VKZ / E.D | KOMP-MENGE / Länge / Breite | BEZEICHNUNG-1 / BEZEICHNUNG-2 / BA / TEXT-NR. / B S / QKL / STA | ZEICHNUNGSNUMMER / WERKSTOFF / EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/BEME / WEICHE R-AG / ABL-NR | BEDARF IN STK / BEDARF / ARTIKEL-GEW(KG) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 730 10516236<br>34 10045740<br>0 | 2,000 | [illegible] 79,5/ 35 Sx 12,1<br>[illegible] 401<br>TP G15R0191 G 7 C 10 | 20006763 0004802<br>POS 1=ST POS 2=PA2 POT/B NATUR<br>Spurrolle 403 | * | 0,050 STK<br>15H | 2,000<br>0,100 % |
| 740 [illegible]<br>0<br>0 | 1,000 | [illegible]<br>TP G 1 V2 | Streckenrolle | * | 0,000 STK<br>TOM | 1,000<br>???????,??? |
| 750 10465657<br>6015<br>0 | 1,000 | [illegible] 4200 CN 33 DIN255<br>[illegible] W/O [illegible]<br>CP G1600091 G 1 SB 10 | 20006555 0004901<br>SIEHE STUECKLISTE | * | 36,061 STK<br>16D<br>M0522007 | 1,000<br>36,061 |
| 760 10420191<br>6015 10183940<br>0 | 4,000 | DORN DIN625/1- 4307-2RS1-C3 L2<br>VT210 TTF 90% +/-5% [illegible]<br>TP 10420191 G 1 10 | | * | 0,461 STK<br>04A | 4,000<br>1,844 |
| 770 10456209<br>6035<br>0 | 2,000 | [illegible] 24,9 NL 192 M20<br>[illegible] 4200<br>TS G15A2004 G 1 S2 10 | 20005160 0001902<br>42CRMO4-QT EN 10083-1 | * | 0,801 STK<br>15A<br>KHAVB | 2,000<br>1,602 |
| 780 10469475<br>6035<br>0 | 2,000 | [illegible] 75,0/ 35 Sx 18,5<br>[illegible] 4200<br>TP 10469575 G 1 C 10 | 20005574 0004502.B<br>POM-SCHWARZ, UV-STABILISIERT | * | 0,044 STK<br>15D | 2,000<br>0,088 |
| 790 10467989<br>6035<br>0 | 2,000 | [illegible] KK 7540 DS [illegible] KN<br>N/O [illegible]<br>TP G 1 10 | 5er R, 4er N | * | 0,331 STK<br>04B | 2,000<br>0,662 |
| 800 10188056<br>6035 10064392<br>0 | 2,000 | [illegible] VK 5540 DS [illegible] KN<br>N/O [illegible]<br>TP G 1 10 | 2er W | * | 0,111 STK<br>04B | 2,000<br>0,222 |
| 810 10466040<br>6035 10252121<br>0 | 1,000 | [illegible] 601C CN104 DIN520<br>[illegible] N/O [illegible]<br>GE G1600001 G 1 SB 10 | 20005581 0005901<br>SIEHE STUECKLISTE | * | 51,241 STK<br>16D<br>M0522001 | 1,000<br>51,241 |
| 820 10293344<br>6035 10005317<br>0 | 1,000 | [illegible] 29,9 L 223 M24<br>[illegible] 501<br>TP G15A2006 G 1 S2 10 | 20003571 0007002.B<br>42CRMO4+QT EN 10083-1 | * | 1,181 STK<br>15A | 1,000<br>1,181 |
| 830 10469330<br>6035 10064812<br>0 | 2,000 | [illegible] 109,0/ 50 Sx 22,5<br>[illegible] 501C<br>TP 10469330 G 1 C 10 | 20005686 0005902.C<br>POM-SCHWARZ, UV-STABILISIERT | * | 0,121 STK<br>15B | 2,000<br>0,242 |
| 840 10593756<br>6035<br>0 | 2,000 | [illegible] 90 / 60,5 Sx 4,0<br>TP G 2 C 10 | 20010018 0005920.A<br>POLYAMID 6 | * | 0,051 STK<br>15B | 2,000<br>0,102 |
| 850 10494137<br>6035<br>0 | 2,000 | [illegible] PK 8540 DS [illegible] KN<br>N/O [illegible]<br>TP G 1 10 | 5er R, 4er N | * | 0,341 STK<br>04B | 2,000<br>0,682 |
| 860 10752990<br>6035 10004461<br>0 | 10,000 | [illegible] M10X1 H1 K [illegible]<br>[illegible] 6 [illegible]<br>TP 10752990 G 1 C 10 | 10161<br>STAHL VERZINKT | * | 0,008 STK<br>03M | 10,000<br>0,080 |
| 870 10530911<br>6035 10187607<br>0 | 4,000 | [illegible]<br>[illegible] S-6<br>TP G 1 C 10 | 20007637 0002565<br>SIEHE STUECKLISTE | * | 0,121 STK<br>20K<br>AVBB21 | 4,000<br>0,484 |
| 880 [illegible]<br>6035<br>0 | 16,000 | [illegible] 4,0 L-120<br>[illegible]<br>TP [illegible] G 1 S2 10 | [illegible]2566.1<br>[illegible] 20Tex | * | 0,031 STK<br>20K | 16,000<br>0,496 |
| 890 [illegible]<br>6035<br>0 | 4,000 | [illegible] TORQUE [illegible]<br>[illegible] 26 1706 315 102 0 [illegible]<br>TP 10606352 G 1 10 | 10027 [illegible] | * | 1,501 STK<br>05E | 4,000<br>6,004 |
| 900 10517044<br>6035<br>0 | 1,000 | [illegible] M20 [illegible]<br>[illegible] 401C, 425C<br>GE G 1 C 10 | 20007438 0004302<br>SIEHE STUECKLISTE<br>für Seilrollenbolzen 401C, 420 | * | 6,701 STK<br>TOM<br>MHICHERN | 1,000<br>6,701 |
| 910 10542077<br>6035<br>0 | 1,000 | [illegible] M24, [illegible]<br>[illegible] 501C<br>GE G 1 10 | 20007440 0005902<br>SIEHE STUECKLISTE<br>für Seilrollenbolzen 501C | * | 8,801 STK<br>TOM<br>MHICHERN | 1,000<br>8,801 |

ARTIKELGEWICHT FEHLT (*) GESAMTGEWICHT GE 1,000 * 0,000 = 0,000 % 231,562

E N D E D E R S T U E C K L I S T E B A U G R U P P E E I N F A C H

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

Grundlaten Struktur/Stücklisten-Info 1/8 PS017G PH IV 24-04-12 09:05:44 S: 1

Ident 11114706 ERSATZTEILE I.A.E. HYDRAULISCH ZW 02 PROLOGO GOIN 10 Baukasten Komplett FG 2012.04.13

Pos KompMenge MEH.BadMenge SA S SK GS SA ZeichNr

Bis Stufe 1

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | 11114706 | 1,000 | ERSATZTEILE I.A.E. HYDRAULISCH / PE / G 2 0 | 07 / OHNE WERKSTOFF-ANGABE | * | 0,000 / ATEG2300 / 7 | 1,000 / ??????,??? |

| POS / E-P / VKE | Ident-Nr. / E.F. / E.D. | KOMP-MENGE / Länge / Breite | BEZEICHNUNG-1 / BEZEICHNUNG-2 / BA / TEXT-NR / G S / QSL / STA | ZEICHNUNGSNUMMER / WERKSTOFF / EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/BSME / BREICHE R+AG / APL-NR | BEDARF IN STK / GEBARF / ARTIKEL-GEW |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 / 0 / 0 | 10796225 | 1,000 | [illegible] GB 08 / [illegible] / GS / G 1 / C / 10 | 02 / OHNE WERKSTOFF-ANGABE | * | 1,951 STK / TOW / MSICHERH | 1,000 / 1,951 |
| 20 / 0 / 0 | 10483935 | 1,000 | [illegible] -LCC03 / [illegible] / US / G 7 / 10 | 02 / OHNE WERKSTOFF-ANGABE | * | 1,601 STK / TOW / MSICHERH | 1,000 / 1,601 |
| 30 / 0 / 0 | 10574053 | 1,000 | [illegible] / 3060.130.050 + 3060.130.055 / TF / 10574053 / G 7 / 0 / 10 | ABE01 / ABSPANNUNG | * | 0,281 STK / 19A | 1,000 / 0,281 |
| 40 / 0 / 0 | 10649365 | 1,000 | [illegible] 23.9 / [illegible] / GE / G 1 / 0 / 10 | 02 / OHNE WERKSTOFF-ANGABE / NOTANTRIEB | * | 0,901 STK / TOW / MSICHERH | 1,000 / 0,901 |
| 50 / 0 / 0 | 10302302 | 1,000 | [illegible] SAUER NR 90 - [illegible] / [illegible] / TF / 10302302 / 10 | NOTANTRIEB | * | 0,351 STK / 14S | 1,000 / 0,351 |
| 60 / 0 / 0 | 10592870 | 1,000 | [illegible] DIN 3V-024/HUP / ART.NR.: 201.6312 WANDFLUH / TF / 10592870 / G 1 / 0 / 10 | NOTANTRIEB | * | 0,231 STK / 0605 | 1,000 / 0,231 |
| 70 / 0 / 0 | 10527312 | 1,000 | [illegible] C.-STD / [illegible] / GE / G 1 / 10 | 02 / OHNE WERKSTOFF-ANGABE / HUBEINRICHTUNG REIFENFOERDERER | * | 2,501 STK / TOW / MSICHERH | 1,000 / 2,501 |
| 80 / 0 / 0 | MONTAGEPLAN | 1,000 | DRWGS + [illegible] / TK / G 1 / 0 / 82 | | * | 0,000 STK / TOW | 1,000 / ??????,??? |

ARTIKELGEWICHT FEHLT !!! GESAMTGEWICHT-JE 1,000 = 0,000 = 0,000 X 7,817

E N D E D E R S T U E C K L I S T E B A U G R U P P E E I N F A C H

ბატონ ბექუტერი საითი ნოიაუნი

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

Grunddaten Strukturstückliste-Info

PRODLOGO OIN 10 Baukasten Komplett 2012.04.05

Ident-Nr. 11147924 E-ERSATZTEILE 7230

Bis Stufe : 1

| POS / Ident-Nr. / E.F. / E.D. | KOMP-MENGE / Länge / Breite | BEZEICHNUNG-1 / BEZEICHNUNG-2 / BA / TEXT-NR. / G S / OKL / STA | ZEICHNUNGSNUMMER / WERKSTOFF / EINBAUHINWEIS | VK | GEWICHT/EINHEIT / WEICHE R-AG / APL-NR | BEDARF IN STK / BEDARF / ARTIKEL-GEW(KG) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0 11147924 | 1,000 | E-ERSATZTEILE 7230 / GE 1 / G 2 / 10 | OHNE WERKSTOFF-ANGABE | * | 0,000 / ATBG2500 | 1,000 / ??????,??? KG |
| 10 10101949 / 0 / 0 | 1,000 | DIGITAL INPUT CARD P-10-DI / NO.304100 PITRONIK / TF / G 2 / 10 | | * | 1,951 STK / 24X | 1,000 / 1,951 კგ |
| 20 10101951 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] C.P-10-DO 24VGS / NO.304110 [illegible] / TF / G 1 / 10 | | * | 1,491 STK / 24X | 1,000 / 1,491 კგ |
| 30 10112741 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] P.C. 1-10-DIO / NO.304107 [illegible] / TF / 10112741 / G 1 / 10 | | * | 1,501 STK / 24X | 1,000 / 1,501 კგ |
| 40 10107121 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] 1.2M / 394 163 PIL-COBR PILZ / TF / 10107121 / G 1 / 10 | | * | 0,301 STK / 24X | 1,000 / 0,301 კგ |
| 50 10107119 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PIC-EPB / 394 051 PIC-EPE PILZ / TF / 10107119 / G 1 / 10 | | * | 1,411 STK / 24X | 1,000 / 1,411 კგ |
| 60 10107120 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PIC-EPP / 394 048 PIC-PPE PILZ / TF / 10107120 / G 1 / 10 | | * | 1,991 STK / 24X | 1,000 / 1,991 კგ |
| 70 10773691 / 0 10714718 / 0 | 1,000 | [illegible] CPU / [illegible] / GE / G 1 / 10 | | * | 1,701 STK / 24X / M0570068 | 1,000 / 1,701 კგ |
| 80 10101469 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PSS PS 24 24VDC / NO.301051 PILZ / TF / G 1 / 10 | | * | 2,181 STK / 24X | 1,000 / 2,181 კგ |
| 90 10773156 / 0 10314054 / 0 | 1,000 | [illegible] PSS AIUSI / DOPPELMAYR OF MODULE / TF / 10773156 / G 1 / 10 | | * | 1,801 STK / 24X | 1,000 / 1,801 კგ |
| 100 10226350 / 0 10101470 / 0 | 1,000 | [illegible] PSS DI 2 / NO 301106 24VDC PILZ / TF / 10226350 / G 1 / 10 | | * | 1,302 STK / 24X | 1,000 / 1,301 კგ |
| 110 10368843 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PSS DI2 / NO.301101 24VDC PILZ / TF / 10368843 / G 1 / 10 | | * | 1,202 STK / 24X | 1,000 / 1,201 კგ |
| 120 10368844 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PSS DI2OT / NO.301112 24VDC PILZ / TF / 10368844 / G 1 / 10 | | * | 1,181 STK / 24X | 1,000 / 1,181 კგ |
| 130 10368845 / 0 / 0 | 1,000 | [illegible] PSS DI2OZ / NO.301105 24VDC PILZ / TF / 10368845 / G 1 / 10 | | * | 1,401 STK / 24X | 1,000 / 1,401 კგ |

GESAMTGEWICHT-JE 1,000 * 0,000 + 0,000 X 21,201 KG

E N D E   D E R   S T U E C K L I S T E   B A U G R U P P E   E I N F A C H

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

# დანართი No.1

WAA0002267 ხელშეკრულების

რომელიც დადებულია

*შპს DOPPELMAYR Seilbahnen A-*

*6961, ვოლფურტი*

*ავსტრია*

და

თბილისის მერიას შორის

შარტავას 1., 7

0160 თბილისი, საქართველო

თარიღი: 2012 წლის 7 სექტემბერი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 5 ივნისს შპს DOPPELMAYR Seilbahnen-ს (შემდგომში - „გამყიდველი") და თბილისის მერიას (შემდგომში - „მყიდველი") შორის შემდგომზე:

საქართველოში, თბილისში, მთაწმინდის პარკში, 8-MGD ტიპის მოხსნადი ერთ ბაგირიანი გონდოლის აღჭურვილობის მიწოდება, დაპროექტება, აწყობა, ტექნიკური დახმარე და ექსპლუატაციაში გაშვება (დატვირთვის ტესტირება).

მყიდველსა და გამყიდველს შორის შემდგარი კეთილმეგობრული მოლაპარაკებების შემდეგ ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებები შევა და ცვლილებებს მხარეები დაეთანხმებიან:

A: საგანი

1. ზედა ამძრავი სადგურის გარსაცმი, ფანჯრებზე ნაკაწრების საწინააღმდეგო ფირის დაკვრა და ორი გონდოლის შუშის იატაკიან გონდოლებად გადაკეთება N1 დანართში მოცემული (1.b.4 პუნქტი) მიწოდების მოცულობას უნდა დაემატოს. ზემოხსენებული ხელშეკრულების ზედა ამძრავი სადგური.

2. ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-4 მუხლში მოცემული დამონტაჟების სრული ფასი უნდა შეიცვალოს და შეადგინოს 4.064.300 ევრო (ოთხი მილიონ სამოცდაოთხი ათას სამასი ევრო), საქართველოში დადგენილი გადასახადების გამოკლებით.

3 ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული გადახდის პირობები უნდა შეიცვალოს შემდეგით:

სამუშაოს სრული ფასის,

4.064.300 ევროს (ოთხი მილიონ სამოცდაოთხი ათას სამასი

ევრო), გადახდა მოხდება შემდეგი სახით:

1.185.000,00 ევრო 1.185.000,00 ევრო

114.300,00 ევრო

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: 

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.rword.ge

| | |
|---|---|
| პირველადი შენატანი საბანკო ტრანსფერის მეშვეობით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღეში უკვე განხორციელდა. | გადახდა განხორციელდება არაუგვიანეს 2013 წლის 28 თებერვლისა.<br><br>გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2013 წლის 30 აპრილისა. მყიდველი წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ, გამყიდველის მიერ მიღებულ გამოუთხოვად და უპირობო გადახდის გარანტიას 1.580.000,00 ევროს თანხის ოდენობით, რომელიც იმოქმედებს 2013 წლის 30 ივნისამდე,<br><br>თბილისის მერიის (მის.: საქართველო, თბილისი, შარტავას ქ., 7) შეკვეთით საბანკო გარანტია უკვე გაიცა. გარანტიის ტექსტში თბილისის მერია განცხადების შემომტანის სახით არის წარმოდგენილი, ისევე, როგორც გარანტიაში მოცემული ნებისმიერი მხარის შეკვეთით, თბილისის მერიის მხრიდან დამკვეთის ხარისხით. |

1.185.000,00 ევრო, 00 გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა მყიდველი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ, გამყიდველის მიერ მიღებულ გამოუთხოვად და უპირობო გადახდის გარანტიას 1.580.000,00 ევროს თანხის ოდენობით, რომელიც იმოქმედებს 2014 წლის 31 მარტამდე.

თბილისის მერიის (მის.: საქართველო, თბილისი, შარტავას ქ., 7) შეკვეთით საბანკო გარანტია უკვე გაიცა. გარანტიის ტექსტში თბილისის მერია განცხადების შემომტანის სახით არის წარმოდგენილი, ისევე, როგორც გარანტიაში მოცემული ნებისმიერი მხარის შეკვეთით, თბილისის მერიის მხრიდან დამკვეთის ხარისხით.

ზემოხსენებული საბანკო გარანტიები ადგილზე იქნება არაუგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა.

გადახდები შემდეგ საბანკო ანგარიშზე განხორციელდება:

ბანკი: უნიკრედიტ ბანკი ავსტრია AG, A-6900, ბრეგენცი, ავსტრია

დამხარისხებელი
კოდი: 12000 BIC:
BKAUATWW

IBAN... AT081200000439025909

ანგარიში 00439 025 909

მყიდველი იხდის ზემოხსენებული საბანკო გარანტიების ღირებულებას.

მეორე და მესამე გადახდა მითითებულ თარიღებზე არაუგვიანეს განხორციელდება, იმ პირობით, რომ აღჭურვილობის თბილისში გაგზავნას დაადასტურებს დისპეტჩერი.

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, გადახდას განახორციელებს თბილისის მერია ან მესამე მხარე

4. ზემოხსენებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელი უნდა დარჩეს.

B: ვალიდურობა

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

ეს დანამატი ძალაში შევა ყველა მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ. 2012 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული

ხელმოწერილია შემდეგი მხარეების სახელით:

| | |
|---|---|
| გამყიდველი | მყიდველი |
| ადგილი, თარითი: ვოლფური | ადგილი, თარიღი: |
| ახლავს ბეჭედი და ხელმოწერები | |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: ____

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

*The grounds for conclusion of this agreement is the Subparagraph "d", Paragraph 3, Article 10 of the Georgian legislation "On State Procurement" (the order N2476 29.11.2016 issued by Georgian Government)*

# შეთანხმება

N 0300/10/345

რომელიც დადებულია

შპს DOPPELMAYR Seilbahnen-ს

A-6961, ვოლფურტი

ავსტრია

და

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის

საქართველო,

0112 თბილისი,

სადგურის

მოედანი N2

ID: 202886788

16 დეკემბერი 2016 წ

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group

www.delta-group.ge, www.iword.ge

<u>მუხლი 1 - პრეამბულა</u>

თბილისის მერიას (შემდგომში - „მყიდველი“) და დოპელმაიერს ზილბანენ გმბჰ-ს (შემდგომში - „მიმწოდებელი“) შორის, 2012 წლის 5 ივნისს დაიდო შეთანხმება N-° WAA0002267, რომლის თანახმადაც მიმწოდებელმა საბაგირო გზის მშენებლობისთვის აუცილებელი აღჭურვილობის მიწოდების, დამონტაჟების და შემოწმების, ასევე, საბაგირო გზასთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოების შესრულების პასუხისმგებლობა აიღო. საბაგირო გზის თავდაპირველი მიმართულება იყო თბილისში, რუსთაველის გამზირიდან, კერძოდ სასტუმრო რედისონის ტერიტორიიდან, მთაწმინდის პარკისკენ. თბილისის მერიის 2016 წლის 8 ივნისის N22.03.475 განკარგულების საფუძველზე, საბაგირო გზის ხაზი შეიცვალა და განისაზღვრა შემდეგნაირად: სსიპ საქართველოს მეცნიერება ეროვნული აკადემიის ტერიტორიიდან, საბაგიროს ძველი შენობის ზემოდან, მთაწმინდის პარკისკენ. ახალი ხაზისა და შედეგად გამოწვეული დოპელმაიერის აღჭურვილობის მოდიფიკაციიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა შესაბამისი საინჟინრო სამუშაოების ჩატარება.

<u>მუხლი 2 შეთანხმების მხარეები, შეთანხმების საგანი და ღირებულება</u>

ერთი მხრივ, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ნუგზარ ჭეიშვილის სახით (შემდგომში -

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.nword.ge

„მყიდველი") და შპს DOPPELMAYR Seilbahnen, წარმოდგენილი დსთ ბაზრის მენეჯერის, ვალერი იასფინის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), მეორე მხრივ, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10', მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვე-ნაწილის საფუძველზე, დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

შესყიდვის საგნის კლასიფიკაციის კოდი (CPV-71320000)

21 შეთანხმების საგანია საპროექტო სამუშაოების შემდეგი მოცულობა და მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურება (შემდგომში - „სამუშაო"):



და მთელი აუცილებელი ინფორმაცია სანებართვო განცხადებებთან დაკავშირებით (პროფილი და ტექნიკური მონაცემები)

საბაგირო გზის ძირითადი საპროექტო კრიტერიუმები, საინჟინრო პარამეტრები (კოშკებზე საბაგირო გზის სტანდარტული ვერსიის საბაგირო ხაზის გამოთვლა, სამშენებლო დაპროექტება და საპროექტო გაანგარიშებები). განსაკუთრებული გეოლოგიური პირობების შემთხვევაში, როგორებიცაა, ჭაობი, მდინარეების, მყინვარი, კლდე და ა.შ., მიმწოდებლის მომსახურება მოიცავს მხოლოდ იმ ძალების პროექტს, რომლებიც საბაგირო გზიდან გამომდინარეობს.

და ზედა სადგურის საფუძვლის ხელახალი დაპროექტება და გათვლის განახლება, გარდა ოპერატორის ჯიხურისა;

და ქვედა სადგურის საფუძვლის პროექტი და გაანგარიშება, მათ შორის:

- ქვედა სადგურის ბეტონის საყრდენი სტრუქტურის გაანგარიშება და პროექტი, გარდა ოპერატორის ჯიხურის პროექტისა;
- საბოლოო სტრუქტურის

შემოწმება; მათ შორის, შემდეგი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

მომსახურება:

- ადგილზე არსებული სტრუქტურის შემოწმება;
- ადგილზე საბოლოო სტრუქტურის შემოწმება;
- დახმარება სტატიკასა და პროექტირებაში;

ქვედა სადგურის საყრდენი სტრუქტურა ცალკეულ სტრუქტურად განიხილება, რომელიც არსებული ძველი შენობისგან დამოუკიდებელია. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში არ შედის არსებული ძველი შენობის გამაგრება, კავშირები, უსაფრთხოების ზომები, გაანგარიშებები ან არსებულ ძველ შენობასთან დაკავშირებული სხვა სახის საინჟინრო სამუშაოები.

22 სამუშაო სრული ფასი არის 123 000 ევრო (ას ოცდასამი ათასი ევრო) საქართველოში მოქმედი გადასახადების გარეშე.



/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: ____________

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

23 წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და

მოქმედებს 2017 წლის 31 მარტამდე.

თავი 3. მომსახურების პირობების და მხარეთა ვალდებულებები

3.1 საბოლოო საპროექტო დოკუმენტაცია ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უნდა იქნას წარმოდგენილი.

3.2 მთელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება სამი ასლის სახით, ინგლისურ ენაზე.

3.3 მყიდველის ვალდებულებები:

3.31 მყიდველი პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში მოცემული პირობების თანახმად ყველა გადახდაზე.

3.3.2 მყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის საპროექტო გეგმის სპეციფიკაციებს, მათ შორის ამწევი ხაზის კვლევის მონაცემებს ყველა ბუნებრივი სახიფათო ზონისა და იმ ადგილების აღნიშვნები, სადაც კოშკების განთავსება შეუძლებელია; ასევე, პროექტის გეოლოგიურ, მეტეოროლოგიურ და კლიმატურ პარამეტრებს (თოვლი, ქარი, ყინულის საფარი) (შემდგომში - „საწყისი მონაცემები"). რადგანაც მიმწოდებელმა მყიდველისგან საბაგირო გზის ქვედა სადგურების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ისევე როგორც ზედა სადგურის გეოლოგიური მონაცემები უკვე მიიღო (2013 წელს), ეს დოკუმენტები საწყისი მონაცემების ნაწილად განიხილება. აუცილებლობის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია მიმწოდებელი უზრუნველყოს დამატებითი ინფორმაციით, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს საპროექტო სამუშაოსთვის,

3.3.3 მყიდველმა, რაც შეიძლება მალე, უნდა დაადასტუროს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ძირითადი საპროექტო გეგმა, დაწვრილებითი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: 

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

საპროექტო სამუშაოს დაწყებამდე

3.3.4 მყიდველი პასუხისმგებელია საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების ადგილობრივ ნაწილსა და მათი საფასურის გადახდაზე, ანუ დოპელმაიერის სტანდარტული საპროექტო დოკუმენტაციის საქართველოსა და ადგილობრივ რეგულაციებთან ადაპტაცია, ყველა სამშენებლო ნებართვა და დასტური სახელმწიფო სააგენტოებისგან, ოფიციალური ბეჭდები და ბეგარა და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯები.



3.3.5 მყიდველი გადაიხდის ყველა ბეგარას, საფასურს, გადასახადებს და დაფარავს სხვა ხარჯებს, რომლებსაც აკისრებს საქართველოს მთავრობა ან ადგილობრივი თვითმმართველობა, ისევე, როგორც საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა სახვა ხარჯებს.

3.3.6 მყიდველი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკაში ყველა საბანკო ხარჯის გადახდაზე.

3.3.7 მყიდველი გადაიხდის ყველა ადგილობრივ მიწოდებასთან დაკავშირებულ საფასურს, გარდა მიმწოდებლის სამუშაოს მოცულობაში მითითებული მიწოდებებისა, რომლებიც მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებში, მიწოდებაში და მომსახურებაში არ შედის.

3.4 მიმწოდებლის ვალდებულებები:

3.4.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოები ჩაატაროს დროულად და უნაკლოდ.

342 მიმწოდებელი ქართულ მხარესთან ითანამშრომლებს საბაგირო გზის ქვედა სადგურის ძველი შენობის რეკონსტრუქციის საკითხში, სანამ ეს არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი საბაგირო გზის ქვედა სადგურის ძველი შენობის

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე.

3.43 აუცილებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთობების დამყარებას მყიდველის მიერ დაქირავებულ სხვა საპროექტო ორგანიზაციებთან (სანამ ეს არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს).

მუხლი 4. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

4.1 წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტირებისა და გაანგარიშებების მიზნით და საბაგირო გზების მშენებლობის ყველა საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტის დაცვის მიზნით მიმწოდებელი გამოიყენებს შემდეგ კოდებს:

4.1.1 EN 13107 ადამიანების გადასაყვანად დაპროექტებული საბაგიროების უსაფრთხოების მოთხოვნები - სამოქალაქო მშენებლობა;

4.1.2 EN 12930 ადამიანების გადასაყვანად დაპროექტებული საბაგიროების უსაფრთხოების მოთხოვნები - გაანგარიშებები

4.1.3 EN 199a -1 EC1 ნაგებობების პროექტირებისა და მათზე ზემოქმედების საფუძვლები



4.1.4 EN 1993-1-1 EC3 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება. ნაწილი 1-1; ზოგადი წესები და შენობა-ნაგებობების წესები

4.1.5 EN 1993-1-8 EC3 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება. ნაწილი 1-8; შეერთებების პროექტირება 4.1,6 EN 1993-1-9 EC3 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება. ნაწილი 1-9; დაღლილობა

4.1.7 EN 1993-3-1 EC3 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება. ნაწილი 3-1; კოშკები, ანძები და კვამლსადენები; კოშკები და ანძები

4.1.8 EN 1992-1-1 EC2 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება.

4.1.9 ÖNORM ENV 992-3 ფოლადის სტრუქტურების პროექტირება.

4.1.10 EN 1090-1 ფოლადის სტრუქტურების და ალუმინის სტრუქტურების

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

განხორციელება: ნაწილი 1: სტრუქტურული კომპონენტების შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები

4.1.11 EN 1090-2 ფოლადის სტრუქტურების და ალუმინის სტრუქტურების განხორციელება; ნაწილი 2: ფოლადის სტრუქტურების ტექნიკური მოთხოვნები.

4.2 ადგილობრივ კოდექსთან თუ მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავების შემთხვევაში, მხარეებმა შესაბამის ორგანოებთან და დაწესებულებებთან უნდა ითანამშრომლონ საუკეთესო გონივრული გადაწყვეტილების პოვნის მიზნით, რომელიც არ დაარღვევს საზაგირო გზების მშენებლობის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს.

მუხლი 5. შეთანხმების შესრულების კონტროლი

5.1 მყიდველი ანდა მისი წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან, გააკონტროლონ მყიდველის მუშაობა მის ნებისმიერ ეტაპზე, წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველის მიერ ჩატარებული შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზები და უზუსტობები თავისი ხარჯით გამოასწოროს, მხოლოდ კომპეტენტური პრეტენზიების შემთხვევაში.



/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: ___

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.rword.ge

6.1 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში თავისი ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემდეგ მყიდველი და მიმწოდებელი მოაწერენ ხელს მიღება-ჩაბარების ოქმს (მე-4 დანართის შესაბამისად).

მუხლი 7. გადახდის პირობები

7.1 გადახდის ვალუტა არის ევრო.

7.2 სამუშაოს სრული ფასი 123.00,00 ევროს შეადგენს.
(ას ოცდასამი ათასი ევრო).

რომლის გადახდაც შემდეგი წესით მოხდება:

80% წინასწარი გადახდა საბანკო გადარიცხვის მეშვეობით უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღეში.

20%-ის ახდა მოხდება საბანკო გადარიცხვის მეშვეობით ზედნადების მიხედვით, საბოლოო მიღება ჩაბარების ოქმის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღეში (მე-4 დანართის შესაბამისად).

მუხლი 8. შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა

8.1 იმ შემთხვევაში, თუ ყველა სამუშაო არ ჩაბარდება მიწოდების თარიღამდე ან მიწოდების თარიღში (3.1 მუხლის შესაბამისად) ნებისმიერი მიზეზის მიუხედავად, გარდა (i) ფორს-მაჟორისა ან (ii) მყიდველის ბრალით ან

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: ____

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

დაუდევრობით გამოწვეული მიზეზისა, მიმწოდებელი მყიდველს დაგვიანებული ჩაბარების ჯარიმას გადაუხდის, რაც თითოეულ დაგვიანებულ დღეზე სრული ღირებულების თანხის 0.1%-ს შეადგენს.



/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

დანართი 1

## მიღება-ჩაბარების ოქმი (პროექტი)

| | |
|---|---|
| მყიდველი: | შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| მიმწოდებელი: | შპს DOPPELMAYR Seilbahnen |
| შეთანხმების თარიღი: | |
| ჩაბარების თარიღი | N 0300/10/345 |
| შეკვეთის ნომერი: | |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

მყიდველი, წარმოდგენილი ............ სახით .. ,.............. ...... ......, და მიმწოდებელი წარმოდგენილი ....... სახით .. ... ... .. . .. .. ..... .. ........., თავისი ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ სამუშაო შესრულდა სრულად და ჯეროვნად № WAA2267PR16 შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ხელმოწერილია 2016 წლის სექტემბერში.

მიმწოდებელმა, ზემოხსენებული შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება შესაბამისად შეასრულა.

ხელმოწერილია შემდეგი მხარეების სახელით:

მიმწოდებლის სახელით                    მყიდველის სახელით



ეთანხმების ღირებულება დაყოვნების თითოეულ კალენდარულ დღეზე და დაყოვნების 30-ე დღიდან შეადგენს სრული შეთანხმების ღირებულების 0.2%-ს თითოეული კალენდარული დღისთვის.

8.2 ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მისი ვალდებულებების შესრულებისგან, წინამდებარე შეთანხმების თანახმად.

8.3 დაგროვილი ჯარიმის სრული თანხა შეთანხმების სრული ღირებულების

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

10%-ს არ აღემატება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი, განთავისუფლება და კონფიდენციალობა

9.1 ფორს-მაჟორი არის ისეთი მოქმედება ან მოვლენა, რომელიც გაუთვალისწინებელია ან თუ მისი გათვალისწინება შესაძლებელია, ის მხარეთა კონტროლის ფარგლებს აღემატება და შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას შეუშალოს ხელი.

9.2 შემდეგი მიიჩნევა განთავისუფლების საფუძვლებად, თუ ეს მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და ხელს შეუშლის მის შესრულებას.

ინდუსტრიული დავები და ყველა სხვა გარემოება, რომლებიც მხარეთა კონტროლს აღემატება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მაგ., ხანძარი, მობილიზაცია, რეკვიზიცია, ემბარგო, სავალუტო შეზღუდვები, აჯანყება, მასალების საერთო უკმარისობა და ენერგიის გამოყენების შეზღუდვები

9.3 მხარე, რომელიც ზემოხსენებულ გარემოებებს დაასახელებს, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მათი დადგომის შესახებ, ისევე, როგორც ფორ-მაჟორული სიტუაციის შემადგენელი მოვლენის შეწყვეტის შესახებ, შეწყვეტიდან 15 (თხუთმეტი) დღეში.

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდებიან იმ ზომებზე, რომლებიც ზემოხსენებული გარემოებებით გამოწვეული სიტუაციების გამოსასწორებლად უნდა მიიღონ.

იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორი გაგრძელდება 3 (სამი) თვეს ან მეტ ხანს, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შეხვდებიან ერთმანეთს, რათა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ახალი თარიღი განიხილონ.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.rword.ge

მუხლი 10 ხელშეკრულების ცვლილება

10.1 მყიდველის მოთხოვნით სამუშაოში შესატანი ცვლილებები ან მოდიფიკაცია, რომელსაც დაეთანხმება მიმწოდებელი, წერილობით უნდა შეთანხმდეს.

10.2 3.4.3 მუხლში მოცემული ძირითადი საპროექტო გეგმების დამტკიცების შემდეგ, პროექტში შეტანილმა ნებისმიერმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიონ დამატებითი ხარჯები და გაახანგრძლივონ ჩაბარების ვადები

მუხლი 11. მოქმედი იურისდიქცია, მოქმედი კანონმდებლობა, არბიტრაჟი, ოფიციალური ენა, შენიშვნები

11.1. მხარეები შეეცდებიან ნებისმიერი დავა მეგობრულ გარემოში მოაგვარონ. თუ ერთ ან მეორე მხარის მიერ შესაბამისი დავის შეტყობინებიდან ერთ თვეში მხარეები ვერ შეთანხმდებიან, დავა გადაეცემა არბიტრაჟს.

11.2. წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული დავები ან უთანხმოებები საბოლოოდ კომერციის საერთაშორისო პალატის საარბიტრაჟო წესების თანახმად გვარდება, ხსენებული წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრის მიერ. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და მხარეებისთვის სავალდებულო. არბიტრაჟის ჩატარების ადგილია შვედეთი, სტოკჰოლმი.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

11.3 დანიშნულების ადგილად ან ადგილებად მიიჩნევა მიწოდებისა და გადახდის შესრულების ადგილი.

11.4 წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში წერილობითი შეტყობინებები მხარეების მისამართზე გადაიგზავნება, რომლებიც მითითებული წინამდებარე შეთანხმებაში. მისამართების ცვლილების შესახებ მხარეები ერთმანეთს ცვლილებამდე 5 სამუშაო დღით ადრე შეატყობინებენ. შეტყობინებები და განცხადებები მეორე მხარისთვის გადაგზავნილად მიიჩნევა მხოლოდ სწორ მისამართზე გადაგზავნის შემთხვევაში.

## მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან ყველა წინა შეთანხმება ბათილდება.

12.2 წინამდებარე შეთანხმების თანახმად, არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს თავისი ულებები და მოვალეობები მესამე მხარეს მეორე მხარის წერილობით თანხმობის გარეშე.

12.8. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ორ დედნის სახით, რომელთა თითოეულ ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ, ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითო ეგზემპლარი თითო მხარისთვის.

12.4 ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ნებისმიერი შეტყობინება, წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, იგზავნება წერილობითი ან ელფოსტის საშუალებით.

12.5 წინამდებარე შეთანხმების ყველა დანართი და დამატება მოქმედია მხოლოდ

წერილობით ფორმით და მხარეების მიერ მათი ხელმოწერის შემთხვევაში.

12.6 მხარეებს შეუძლიათ წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე (ადრეული შეწყვეტა) მხარეთა ორმხირივი თანხმობით.

**მუხლი 13. მოთხოვნები და ანგარიშები**

13.1 მიმწოდებლის მონაცემები

დოპელმაიერ ზილბანენი გმბჰ.
რიკენბაჰერშტრასე 8-10.
A-6961, ვოლფურტი, საფოსტო ყუთი 20, ავსტრია

ტელ.: +43-5574-604-0
ფაქსი: +43-05574-75590

გვერდი

ბანკი: უნიკრედიტ ბანკი ავსტრია AG, A-6900, ბრეგენცი,
ავსტრია დამხარისხებელი კოდი:: 12000
,....„ BIC. BKAUATWW
IBAN... AT081200000439025909
ანგარიში 00439 025 909

**13.2 მყიდველი მონაცემები**

შპს თბილისის სატრანსპორტო
კომპანიას შორის ID: 202886788
საქართველო,
0112 თბილისი,
სადგურის
მოედანი N2

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

ბანკი: სს თი-ბი-სი ბანკი

ანგარიშის ნომერი: GE67TB7931836070100001

საბანკო კოდი: TBCBGE22

ხელმოწერილია შემდეგი მხარეების სახელით:

მიმწოდებლის სახელით
ნუგზარ ჭეიშვილი

მყიდველის სახელით

ვალერი იაშინ

ახლავს ბეჭდები და ხელმოწერები



დანართი N4

WAA0002267 ხელშეკრულების მოცულობა (2020)

ოფშორული სამუშაოები და სერვისები

| № | აღწერილა | ფასი FCA ვოლფურტი, ინკოტერმსი 2020, პირობები | შენიშვნები |
|---|---|---|---|

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ქვედა სადგურის აღჭურვილობა | 133 500,00 ევრო | გამოიყენება სადგურის მთავარი კომპონენტები. ფასები:<br>• ღუზები<br>• ბეტონში ჩასასმელი ნაწილები;<br>• სადგურის უსაფრთხოების მოწყობილობები;<br>• სხვადასხვა ლითონის/მზიდის ნაწილები;<br>• საბურავის კონვეიერის რეკონსტრუქცია;<br>• დაჭიმულობის აღჭურვილობის რეკონსტრუქცია;<br>• სხვადასხვა ლითონის პლატფორმების რეკონსტრუქცია;<br>• ბაგირის დამჭერი მოწყობილობის რეკონსტრუქცია;<br>• მცირე სახარჯი მასალები. |
| 2 | ზედა სადგურის აღჭურვილობა | 24 100,00 ევრო | სადგურის მთავარი ნაწილი უცვლელად რჩება. ფასები:<br>• ღუზები<br>• ბეტონში ჩასასმელი ნაწილები;<br>• სადგურის დაცვის მოწყობილობები;<br>• სხვადასხვა ლითონის პლატფორმების რეკონსტრუქცია<br>• მცირე სახარჯი მასალები. |
| 3 | ხაზის აღჭურვილობა | 612,800.00 ევრო | ძველი ბაგირის, შკივის კვანძების უმეტესობის, კაბინების/გონდოლების გამოყენება<br>ფასები:<br>• ღუზები<br>• ბეტონში ჩასასმელი ნაწილები;<br>• კოშკები (სამწუხაროდ ძველი კოშკები ახალი პროფილისთვის ვერ გამოდგება); |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.tword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | • ზოგიერთი ძველი ტიპის შკივის კვანძები შეიცვალა ახალი ტიპით; ფასი წარმოადგენს მხოლოდ ფასების სხვაობას ძველსა და ახალს შორის; რადგანაც ჩვენ ვცდილობთ ძველი შკივის კვანძების გამოყენებას სხვა პროექტებში.<br>• მცირე სახარჯი მასალები. |
| 4 | ელექტრო აღჭურვილობა/მოწყობილობები | 62 800,00 ევრო | პრაქტიკულად, სრული შევსება ძველი მასალის გამოყენებით<br>ფასი:<br>• ბაგირის მასალა ხაზისთვის<br>• უსაფრთხოების ახალი მოწყობილობები<br>• მცირე სახარჯი მასალები |
| 5 | დამატებითი სატრანსპორტო ღირებულება და დაზღვევა | 40.700,00 ევრო | ფასები ადაპტირებულია ბაზრის არსებულ ფასებთან |
| 6 | შიდა ლოგისტიკა, კონსერვაცია, მასალების შენახვა (2012-2020), შენახული მასალის პერიოდული შემოწმება | 232.600,00 ევრო | ამ ფასში არ არის შესული გამყიდველის სივრცეების გამოყენება |
| 7 | რვა წლიანი შენახვის შემდეგ საბაგირო გზის კომპონენტების ტექნიკური შემოწმება/ტესტირება | 246.300,00 ევრო | შემოწმება/ტესტირება:<br>• ავარიული ამძრავი ID 11168054<br>• ავარიული ამძრავი ID 11167993<br>• ჰიდრავლიკური დაჭიმულობის კვანძი ID 11167993<br>• დაჭიმულობის კვანძის ჰიდრავლიკური ცილინდრები ID 10980403<br>• ელექტრო აღჭურვილობა<br>• კაბინები/CWA<br>• მთავარი ლითონის |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სტრუქტურები |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | ბაგირის მოქაჩვა | 81.600,00 ევრო | • საბაგირო გზის შეცვლილი ხაზიდან გამომდინარე, საჭიროა დამატებით ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ბაგირის მოქაჩვის უსაფრთხო ოპერაციის განხორციელებისთვის საჭირო პლატფორმის მშენებლობას |
| 9 | TUV, ტექნიკური შემოწმების ანგარიში | 15,000 ევრო | • თბილისში ექსპერტების მოწვევა<br>• საჰაერო მგზავრობა, საკვები, დაბინავება<br>• ინსტალაციის შემოწმება<br>• ანგარიშის შედგენა |

WAA0002267 ხელშეკრულების მოცულობა (2020)

ონშორული სამუშაოები

| № | აღწერილი | ფასი დღგ-ს ჩათვლით (18%) | შენიშვნე ბი |
|---|---|---|---|
| 1 | მონტაჟის მექანიზაცია | 174.300,00 ევრო | • სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ამწეები და მექანიკური აღჭურვილობა |
| 2 | პერსონალის დაბინავება და საჭმელები | 150.375,00 ევრო | • ჩვენი პერსონალის კვებისა და დაბინავების სრული საფასური მთელი პროექტის მანძილზე (სამუშაოების არსებული განრიგის გათვალისწინებით) |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | პერსონალის ადგილზე ტრანსპორტირება | 32.850,00 ევრო | • სამი „პიკაპის" ტიპის ავტომობილის დაქირავების ღირებულება მთელი პროექტის განმავლობაში |
| 4 | საწყობი, დაცვა, მასალი დატვირთვა და გადმოტვირთვა | 63.500,00 ევრო | • ერთი წლით ღია და დახურული საწყობების დაქირავება<br>• დაცვა |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | • შემოსული სატვირთო მანქანების გადმოტვირთვა<br>• სამუშაოების ადგილზე მიწოდების ტრანსპორტის დატვირთვა |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

დანართი 5

სამუშაოს მოცულობა და
ამწის ტექნიკური
სპეციფიკაციები

მთაწმინდის პარკი, 8-
MGD (საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია -
მთაწმინდის პარკი)

1.1 მთავარი ტექნიკური

| | | |
|---|---|---|
| სისტემა: | დოპელმაიერი მონო-ბაგირიანი მოხსნადი გონდოლა | |
| ტიპი: | 8MGD | |
| ამძრავი სადგურის მდებარეობა | ზედა სადგური | |
| მომაბრუნებელი სადგურის მდებარეობა | ქვედა სადგური | |
| დაჭიმვის სისტემის მდებარეობა | ქვედა სადგური | |
| დაჭიმვის ტიპი | ჰიდრავლიკური | |
| ბრუნვის მიმართულება | ზემოთკენ მარცხნივ | |
| ჰორიზონტალური სიგრძე | 845,55 | m |
| ვერტიკალური ამაღლება | 275,40 | მ |
| დახრილობის სიგრძე | 892,02 | m |
| საშუალო გრადუსი | 32,57 | % |
| საათობრივი წარმადობა (საბოლოო) | 1,200 | მგზავრი./სთ |
| ზემოთკენ ტრანსპორტირება | 100 | % |
| ქვემოთკენ ტრანსპორტირება | 100 | % |
| ამძრავის სიჩქარე | 5 | მ/წმ |
| მგზავრობის დრო | 4,07 | წთ. |
| ამძრავის აღჭურვილობა, ტიპი | | |
| ელექტრული მთავარი ამძრავი: | | |
| - საჭირო უწყვეტი გამომავალი სიმძლავრე | 206 | კვტ |
| - საჭირო გამომავალი ამუშავება | 262 | კვტ |
| - ძაბვა | 380 | ვ |
| - სიხშირე | 50 | ჰერცი |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

| | | |
|---|---|---|
| მზიდის ინტერვალი<br>მზიდებს შორის ინტერვალი<br>მგზავრი მზიდში<br><br>მზიდების რაოდენობა<br>სხვა მზიდების რაოდენობა<br>- მომსახურების მზიდი<br><br>მზიდების პარკირება, ადგილი<br><br>კოშკების რაოდენობა<br><br>საწევი ბაგირი:<br>დიამეტრი<br><br>ამძრავი ბორბლის დიამეტრი<br>მომაბრუნებელი ბორბლის დიამეტრი<br>ბაგირის კალიბრი ხაზზე<br><br>საკონტროლო ბაგირი:<br>- მდებარეობა<br>- საკონტროლო სადენების რაოდენობა | 120<br>24<br><br><br>21<br><br>4<br><br>სადგურში<br><br>5<br><br><br>47<br><br><br>4,80<br>5,20<br>5,20<br><br><br>ჰაერში<br>საჭიროებისამებრ | მ<br>წმ.<br><br>ცალი<br><br>ცალი<br><br><br>ცალი<br><br>მმ<br><br>მ<br>მ<br>მ |

ზემოთ ნაჩვენები მონაცემები პროფილის საბოლოო სქემის მოდიფიკაციისა და დეტალური პროექტის შემდეგ ცვლილებებს ექვემდებარება.

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

# დანართი 6

## ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

2020 წლის 22 დეკემბერი - ხელშეკრულების ხელმოწერა

2021 წლის 1 თებერვალს- სამშენებლო სამუშაოების დაწყება (მესამე მხარის/სამშენებლო კომპანიის მიერ); 2021 წლის 1-28 თებერვალს - მთელი საბაგირო გზის დიაგნოსტიკისთვის მომზადება

20201 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 ივნისამდე დასრულდება სრული შემოწმება; ანგარიში წარედგინება თბილისის სატრანსპორტო კომპანიას

2021 წლის 1 ივნისი - 2021 წლის 1 ივლისი - საბაგირო გზის მოდერნიზაციის დამატებითი შეთანხმების ხელმოწერა (სტანდარტების უზრუნველყოფა (ახალი საბაგირო გზის მსგავსად), გარანტიების გაიცემა ექსპლუატაციაში გაშვების ფაზის შემდეგ)

2021 წლის 1 ვილისი - 2021 წლის 30 სექტემბერი - საბაგირო გზისთვის დამატებითი კომპონენტების წარმოება

- 2021 წლის 30 სექტემბერი - მთავარი ლითონის სტრუქტურების ადგილზე მიწოდება (კოშკები, მთავარი ლითონის კომპონენტები)

2021 წლის 30 ოქტომბერი - ადგილზე ყველა ბეტონის სამუშაოების დასრულება (სადგურები და კოშკები მესამე მხარის/სამშენებლო კომპანიის მიერ)

2021 წლის 15 ოქტომბერი - 2021 წლის 15 დეკემბერი - ზედა სადგურის აღმართვა/აწყობა, მე-3, მე-4, მე-5 კოშკების მონტაჟი

2022 წლის 20 იანვარი - 28 თებერვალი - ქვედა სადგურის აღმართვა/აწყობა, 1-ლი, მე-2 კოშკების მონტაჟი

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

2022 წლის 15 აპრილი - ორივე სადგურს (ზედა და ქვედა) მყიდველი, მესამე მხარის მენარდეების მეშვეობით, მუდმივ უწყვეტ ელექტროენერგიას აწვდის.

2022 წლის 1 მარტი - 2022 წლის 31 მარტი - დასრულდება სადგურების ყველა ლითონის გარსაცმები ზედა და ქვედა სადგურებზე (მესამე მხარის/სამშენებლო კომპანიების მიერ)._სადგურებსა და ხაზზე არ წარმოებს შედუღება, არ მუშაობენ ამწე კრანები.

2022 წლის 1 ივნისი - 2022 წლის 1 ივლისი - ბაგირის დაჭიმვა და გადაბმა

2022 წლის 1 ივლისი - 2022 წლის 1 სექტემბერი - დასრულებულია ექსპლუატაციაში გაშვება, ყველა ტესტი შესრულებულია, ექსპლუატაციაში გაშვების ოქმები ხელმოწერილია, პერსონალის ტრენინგი დასრულებულია.

2022 წლის 31 ოქტომბერს - მიღების აქტის ხელმოწერა

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი: [signature]

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020)

# დანართი 7

ხელშეკრულება No. WAA0002267 (2020) მთაწმინდის

პარკის აგზის მიღება-ჩაბარების ოქმი

| | |
|---|---|
| საგნის | 8-MGD ტიპის, მოხსნადი მონო-ბაგირიანი გონდოლა<br>საქართველოს მეცნიერებათა აკადემია - მთაწმინდის პარკი, თბილისი |
| საფუძვე<br>ლი | 2020 წლის .. დეკემბრით დათარიღებული ხელშეკრულებით, 8-MGD ტიპის, მოხსნადი მონო-ბაგირიანი გონდოლის მიწოდების, საპროექტო სამუშაოების, აწყობის/მონტაჟის, ტექნიკური დახმარებისა და ექსპლუატაციაში გაშვების (დატვირთვის ტესტი) შეკვეთა<br>მთაწმინდის პარკი, თბილისი, საქართველო - შპს DOPPELMAYR Seilbahnen A-6922, ვოლფურტი, ავსტრია |
| მიღება-ჩაბარების ტესტები | საინსტალაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩატარდა სრული დატვირთვის ტესტები და სამუხრუჭო ტესტები ....-დან .....-მდე |
| თარიღი: | მოხსნადი ტიპის მონო-ბაგირიანი გონდოლის მშენებლობა სათანადოდ შესრულდა. ტესტირებები ჩატარდა პრობლემების გარეშე, შესაბამისი ორგანოების მიერ ჩატარებული ინსპექცია კი წარმატებულია. შესაბამისად, შესაძლებელია გამოცხადდეს ინსტალაციის მიღება-ჩაბარება. ------------ თარიღში ინსტალაციის მუშაობა მყიდველის პასუხისმგებლობაში გადადის. ამავე თარიღიდან იწყება გარანტიის პერიოდი, ხელშეკრულების თანახმად. ტექნიკურმა პერსონალმა ტრენინგი გაიარა ადგილზე, მოხსნადი მონო-ბაგირიანი გონდოლის აწყობისა და ამუშავების დროს. გადაეცა ტექნიკური მომსახურებისა და მუშაობის ინსტრუქციები. |

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/

მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

ნებართვების მიღება.

- საბაჟო პროცედურები, მოვალეობები, გადასახადები, დღგ (საჭიროების შემთხვევაში) და საქართველოში გადასახდელი სხვა გადასახადები.
- ბეტონის სამუშაოებს ასრულებს მყიდველი, სამუშაოების ადგილზე (სადგურების და კოშკები) არაუგვიანეს 2021 წლის 30 ოქტომბრისა.
- ორივე სადგურს (ზედას და ქვედას) მყიდველი მუდმივ უწყვეტ და სტაბილურ ელექტროენერგიას მიაწვდის არაუგვიანეს 2022 წლის 15 აპრილისა.
- ექსპლუატაციაში გაშვებისა და დატვირთვაზე გამოცდის მთელი პერიოდის მანძილზე გარანტირებული უნდა იქნას უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგება.
- მყიდველი დაასრულებს ზედა და ქვედა სადგურების ლითონის გარსაცმებს 2022 წლის 30 მაისისთვის - სადგურებსა და ხაზზე შედუღება არ სრულდება, ამწე კრანები არ მუშაობენ.
- სხვა საქონელი, რომლებიც არ არის ცხადად მითითებული, როგორც ჩვენი მიწოდების შემადგენელი ნაწილი.

მყიდველისთვის:

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია

გიორგი შარკოვი
დირექტორი /ახლავს
ხელმოწერა/

გამყიდველისთვის

დოპელმაიერ ზილბანენი გმბჰ.

ვალერი იაშინი

დსთ-ს დეპარტამენტის უფროსი

..

/თარგმანი შესრულებულია დოკუმენტის ასლიდან/
მთარგმნელი:

Delta Translation Group
www.delta-group.ge, www.iword.ge

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის თერთმეტ იანვარს საქართველოს ნოტარიუსს იამზე ჩანქსელიანს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მისამართი: ქ. თბილისი, ბიზნეს ცენტრი სარაჯიშვილი, მეტრო სადგურ სარაჯიშვილის მიმდებარედ, მომმართა მოქ. სალომე წულუკიძე (დაბ. 08.07.1991 წ. ქ. თბილისში, პირი N01024072306, მცხ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N3, ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით, MHN000448, გაცემული 08.08.2016 წ. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. მან წარმოადგინა დოკუმენტი და მისი თარგმანის დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. დოკუმენტით. შევამოწმე სალომე წულუკიძის უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს.

თარჯიმანი გაფრთხილებულია ნოტარიუსის მიერ, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს

On the 11th of January two thousand and one, me, notary of Georgia, Iamze Chankseliani, in my Notary bureau located in Sarajishvili Business Center, nearby the metro Sarajishvili, was applied by the translator Salome Tsulukidze (born in 08.07.1991, Tbilisi, personal № 01024072306, living in Tbilisi, Tbilisi, Politkovskaya N3 , Academic degree of Master of Philology specializing in English Philology, MHN000448, issued on 08.08.2016 by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University.. She presented the document and its translation and has requested about the notary certification of signature authenticity on the translation. I ascertained her personality by the Identity Card presented by her. I checked the competence of Salome Tsulukidze and confirm that she is indeed authorized to translate.

The Translator is notified in advance by the Notary that she is responsible for the truth of the translation. She personally put signature on the translation of the document in my presence

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 188.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა + დ.ღ.გ. 33.84 ლარი საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა სულ 223.84 ლარი.

**Duty paid for the Notary service implementation** 188.00 **GEL in accordance of Georgian government (December 29th, 2011, decision # 507) article 31 and** + V.A.T. 33.84 GEL **in accordance of Georgian Tax Code Article169, +2 (two) GEL Cost of registration of notary act in electric register corresponding of article 39**, totally 223.84 **GEL.**

*ნოტარიუსი:* ................................

*Notary:*

*ი. ჩანქსელიანი*

***I. Chankseliani***

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N210007146 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 11.01.2021 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | იამზე ჩანქსელიანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, მეტროსადგურ ,,სარაჯიშვილი''-ს მიმდებარედ |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2 65 77 33, 577 46 16 80 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 94157791213421 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18